F 133
1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 1961 წ.

F 2484

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

103. „საქსოფლტექნიკის“ ზოგიერთი რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებასთან ტექნიკური მომსახურების სადგურების შექმნის შესახებ.
104. ჩაის პლანტაციების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გაფართოების ზომების შესახებ.
105. კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდეგად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ.
106. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
107. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო გამგებლობაში გადაცემის შესახებ.
108. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ.
109. სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
110. იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ საჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

111. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 სექტემბრის № 820 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 801 დადგენილების გაუქმების შესახებ.

112. საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით სარგებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

113. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

114. მოსახლეობის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

115. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

116. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 ნოემბრის № 981 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.

117. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

103 „საქსოფლტექნიკის“ ზოგიერთ რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებასთან ტექნიკური მომსახურების სადგურების შექმნის შესახებ

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამანქანო-სატრაქტორო პარკის რემონტის ორგანიზაციის, ტექნიკური მომსახურების, მისი გამოყენებისა და შენახვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებებთან ტექნიკური მომსახურების სადგურები.

2. მოეწყოს „საქსოფლტექნიკის“ წითელწყაროს, საგარეჯოს, ახალქალაქის, სამტრედიის, მახარაძის, ცხაკაიას, გუდაუთის, გურჯაანის, თეთრიწყაროსა და თელავის რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებებთან და გორის, მარნეულის და წნორის სამანქანო-სამელიორაციო სადგურებთან ტექნიკური მომსახურების სადგურები.

3. დაეკისროთ ტექნიკური მომსახურების სადგურებს:

ა) დახმარება გაუწიონ უბნის ინჟინერ-მექანიკოსთა ძალებით განყოფილების ზონაში შემავალ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკის მაღალმწარმოებლური გამოყენება და წარმატებით გადაიჭრას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის ყველა სხვა ამოცანა;

ბ) შეასრულონ მოძრავი ავტოსახელოსნოების რემონტის მუშათა ძალებით კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან სახელშეკრულებო საფუძვლებზე მთელი სამუშაოები მანქანების გეგმური ტექნიკური მოვლის ჩატარებისა და მათი ექსპლუატაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდში მანქანების გატეხისა და უწესივრობის აღმოფხვრისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ მოამზადოს დებულება ტექნიკური მომსახურების სადგურების მუშაობის შესახებ და განსახილველად წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მუავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 14 ნოემბერი, № 710.

104 ჩაის პლანტაციების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებისა და ჩაის ფოთლის კრეფის უკეთ მოწყობის შედეგად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების საქმეში. მიმდინარე წელს ამინდის არც თუ ისე ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი ტონის ნაცვლად მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 154,4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა 176 ტონის გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი; მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 31.633 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 31.457 ტონისა.

ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების საქმეში კარგ წარმატებებს მიაღწია ბევრმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ. 1961 წელს ჩაის პლანტაციების საშუალო მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლიანობა ჰექტარზე შეადგენდა: ქობულეთის რაიონში 4.800 კილოგრამს, გუდაუთის რაიონში — 4.486 კილოგრამს, ბათუმის რაიონში — 4.320 კილოგრამს, მახარაძის რაიონში — 3.950 კილოგრამს, ზუგდიდის რაიონში — 3.233 კილოგრამს და ტყიბულის რაიონში — 3.000 კილოგრამს.

მაგრამ ამ რაიონების პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკეთ რომ ემუშავნათ და მთელი არსებული რეზერვები გამოეყენებინათ, ისინი მიაღწევდნენ კიდევ უფრო მეტ მოსავლიანობას და შეასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობამ 176,7 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციების მთელი ფართობის თითო ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 6.680 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ამავე რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობამ 123,8 ჰექტარ ფართობზე მიიღო 5.774 კილოგრამი, მახარაძის რაიონის სოფ. მახარაძის კოლმეურნეობამ „გზა კომუნიზმისაკენ“ 143 ჰექტარ ფართობზე მიიღო 5.900 კილოგრამი, ზუგდიდის რაიონის სოფელ. რუხის კოლმეურნეობა „საქართველომ“ — 301 ჰექტარ ფართობზე — 5.354 კილოგრამი, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ — 6.000 კილოგრამი 478 ჰექტარ ფართობზე, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ — 4.605 კილოგრამი 492 ჰექტარ ფართობზე.

კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა ბრიგადებმა, რგოლებმა და ჩაის უხვი მოსავლის ოსტატებმა.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის რგოლმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე ხელმძღვანელობს, მასზე მიმაგრებული 4 ჰექტარი პლანტაციიდან მიიღო 47.070 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ესე იგი 11.767 კილოგრამი ყოველ ჰექტარზე. ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანას ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ტატიანა ტყებუჩავამ მასზე მიმაგრებული 0,7 ჰექტარი პლანტაციიდან მიიღო 17.800 კილოგრამი ფოთოლი.

ამასთან ერთად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ზოგიერთმა რაიონმა მიმდინარე წელს ცუდად მოაწყო პლანტაციების მოვლა და განსაკუთრებით ცუდად ჩაატარა ჩაის ფოთლის კრეფის სამუშაოები, რის შედეგადაც მათ არ შეუსრულებიათ ჩაის ფოთლის

კრეფის გეგმაც კი (ოჩამჩირის რაიონმა გეგმა შეასრულა მხოლოდ 93,7 პროცენტით, ლანჩხუთის რაიონმა—97,7 პროცენტით და გეგეჭკორის რაიონმა — 98,3 პროცენტით).

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი რაიონები, რომლებიც ფოთლის მცირე მოსავალს იღებენ. აბაშის რაიონმა 1961 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღო მხოლოდ 1.360 კილოგრამი, წულუკიძის რაიონმა — 1.390, წყალტუბოს რაიონმა — 1.633, სამტრედიის რაიონმა — 1.870, ცხაკაიას რაიონმა — 2.200 კილოგრამი.

მთელ რიგ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უგულვებელყოფილია პლანტაციების მოვლისა და ჩაის ფოთლის კრეფის აგროტექნიკის ელემენტარული მოთხოვნები — პლანტაციების ერთი ნაწილი ძლიერ დასარევლიანებულია, ადგილი აქვს ჩაის ფოთლის დანაკარგს, პლანტაციები გამეჩხერებულია, ბუჩქები დაბეჩავებულია, შესუსტებულია ვეგეტაცია და მეტად დაბალია მოსავლიანობა.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში 70 ჰექტარი სრულასაკოვანი ჩაის პლანტაცია სრულიად მოუვლელია, დაფარულია ეკალბარდით და ჩაის ფოთლის კრეფა მიმდინარე წელს ამ ფართობზე არ წარმოებდა.

გალის რაიონის სოფელ სიდის 15 ჰექტარ და სოფელ ჭუბურხინჯის 30 ჰექტარი ჩაის პლანტაციებს მოუვლელობის გამო დაღუპვა მოელის.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კოლმეურნეობის 29 ჰექტარი, სოფელ გრიგოლიშის კოლმეურნეობის 12 ჰექტარი და სოფელ ორჯონიკიძის 10 ჰექტარი ჩაის პლანტაციები მოუვლელია და მიმდინარე წელს ამ პლანტაციებზე ჩაის ფოთოლი არ მოუკრეფიათ.

ანალოგიური მდგომარეობაა წულუკიძის რაიონის სოფელ გუბისა და სოფელ კუხის კოლმეურნეობებში; წყალტუბოს რაიონის სოფ. მაღლაკისა და სოფ. გუმბრის კოლმეურნეობებში; გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის კოლმეურნეობაში; ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ხაბუმეს კოლმეურნეობაში, ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

გეჯეთის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციები ძლიერ გამეჩხერებულია, ნიადაგის დამუშავება არათავის დროზე და უხარისხოდ წარმოებს, ჩაის ბუჩქები დაბეჩავებულია და არ ვითარდე-

ბა. ყოველივე ამის მიუხედავად, ასეთ პლანტაციებში წარმოებს ხეშეში კრეფა. პლანტაციების ასეთი მდგომარეობა იწვევს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის სისტემატურ შეუსრულებლობას.

ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეორე აგროგანყოფილებაში ნიადაგის ზედმეტი ტენიანობის გამო პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გამეჩხერებულია, ბუჩქები დაბეჩავებულია და მოსავალი დაბალია.

სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვან ნაწილზე ადგილი ჰქონდა ჩაის ფოთლის დანაკარგს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმეტესობაში ახალგაზრდა პლანტაციები სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ეს პლანტაციები დაუმუშავებელია, აღმონაცენი სუსტად არის განვითარებული, ძლიერ გამეჩხერებულია, ნაკვეთები შემოუღობავია და ადგილი აქვს წანახედს; ნაკვეთებში არ შეაქვთ მინერალური სასუქები; მწკრივთშორისებში ითესება სიმინდი. ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება თითქმის ყველგან ტარდება გაკულტურების ხანგრძლივი ვადის გარეშე, რაც იწვევს ახალგაზრდა ნარგავების დაღუპვას.

სარეველა „ერიხტიტესის“ წინააღმდეგ ბრძოლის დროზე ჩაუტარებლობის შედეგად, უკანასკნელ წლებში ეს სარეველა საყოველთაოდ გავრცელდა ჩაის პლანტაციებში, განსაკუთრებით აჭარის ასსრ, მახარაძის, გალის, ზუგდიდისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყველა პლანტაციაში როდი შეაქვთ მინერალური სასუქი, არ იცავენ ამ სასუქების შეტანის ვადებსა და ნორმებს, რომლებიც არ არის დიფერენცირებული ჩაის პლანტაციების მოსავლიანობისა და ნიადაგის ტიპის გათვალისწინებით; ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც ჩაისათვის განკუთვნილი სასუქები სხვა კულტურებში შეაქვთ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების რემონტი, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის დადგენილების თანახმად, უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის დამლევისათვის. ჩაის პლანტაციების მეჩხრიანობის ლიკვიდაციისათვის სუსტად ინერგება ისეთი პროგრესული ღონისძიება, როგორიცაა ჩაის პლანტაციების რემონტი მოხავსებული ნერგით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა ჩაის ბუჩქის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ. წლითიწლობით არ სრულდება ჩაის პლანტაციების ფუმიგაციის დავალებანი.

ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების შეუფასებლობის შედეგად, აფხაზეთის ასსრ, ზუგდიდის, წალენჯიხის, ცხაკაიას, გეგეჭკორის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად გავრცელდა ჩაის პლანტაციებში ფარიანა, რომელიც იწვევს მოსავლიანობის მკვეთრად შემცირებას და ბუჩქების დაღუპვასაც კი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1961 წელს ჩატარებული გამოკვლევის მასალების მიხედვით, პლანტაციების ფარიანათი დაავადებული ფართობი აღწევდა 17 ათას ჰექტარს, აქედან ძლიერ იყო დაზიანებული 10 ათასი ჰექტარი.

სრულიად არასაკმაოდ ხდება ადგილობრივი ორგანული სასუქის — ნაკელის, ტორფისა და სხვათა გამოყენება; კოლმეურნეობებში არ არის მოწყობილი ტორფკომპოსტების წარმოება. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ტორფის გატანა ტორფქარხნებიდან. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაიტანეს 139.781 ტონა ნაცვლად 278.000 ტონისა, ანუ გეგმის 50,2 პროცენტი. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ სათანადო დახმარება არ გაუწია საბჭოთა მეურნეობებს ტორფის გატანის საქმეში.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა გაიტანეს მხოლოდ 21 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ათასი ტონისა, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა — 603 ტონა ნაცვლად 15 ათასი ტონისა, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა — 11.139 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48.000 ტონისა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო შუქურების მუშაობას, არ აზოგადებენ და არ ნერგავენ მათს მოწინავე მეთოდებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მეჩაიეობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღ-

მასკომებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მიიღონ ზომები ჩაის პლანტაციების მოვლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა ლიკვიდაციისათვის, მიაღწიონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდებას. ამ მიზნით:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციების მდგომარეობა და დასახონ თვითეული ნაკვეთისა და მასივისათვის კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას;

ბ) მოაწყონ და 1962 წლის 1 თებერვლამდე დაამთავრონ მოუვლელი ჩაის პლანტაციების გაწმენდა, მოაშორონ მრავალწლიანი სარეველებისა და ბუჩქნარების ფესვები და ფესურები და მარტის დამლევამდე დაამთავრონ ნიადაგის გადაბარვა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით, აგრეთვე სადრენაჟო არხების გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში მოაწყონ ახალი სადრენაჟო ქსელი ცალკეულ ნაკვეთებზე;

გ) აღმოფხვრან პრაქტიკა ჩაის ბუჩქების შპალერული გასხვლისა ერთი შაბლონით, რაც იწვევს ბუჩქების მეტისმეტ ზრდას სიმაღლეზე და ჩაის ფოთლის მოსავლიანობის შემცირებას; ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ჩაის ბუჩქების მდგომარეობის მიხედვით, ცალკეული ნაკვეთების ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლის გეგმა და უზრუნველყონ სხვლის ჩატარება აგროწესების მტკიცე შესაბამისობით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველომ და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ჩაატარონ კვალიფიციურ მსხვლელთა მოსამზადებლად კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა სამდღიანი სემინარები;

დ) უზრუნველყონ ჩაის პლანტაციებში სარეველა „ერიხტიტესის“ წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლა, რისთვისაც მთლიანად ამოძირკვონ სარეველა მცენარეები ფესვიანად განვითარების სტადიის დასაწყისშივე, და გაიტანონ ისინი მინდვრებიდან ისე, რომ არ დაუშვან მათი ყვავილობა და დათესლვა;

ე) ჩაატარონ 1962 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფარიანათი დაავადებული პლანტაციების ფუმიგაცია, პირველ რიგში ძლიერ და საშუალოდ დაავადებულ ნაკვეთებზე.

ჩაის პლანტაციების ფუმიგაციის ხარისხოვნად ჩატარებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველომ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა გაგზავნონ სპეციალისტები ჩაის რაიონებში ფუმიგაციის ჩატარების პერიოდისათვის;

ვ) ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება იმ ნაკვეთებზე, სადაც წინათ ტყეები და ბუჩქნარები იყო, აწარმოონ იმ პირობით, რომ აუცილებლად დაითესოს წინამორბედებად 1 — 2 წლის განმავლობაში სათოხნი კულტურები, ხოლო ზედმეტად დატენიანებულ ნაკვეთებზე — აუცილებლად ჩატარდეს ნიადაგის წინასწარი ამოშრობითი მელიორაცია ჩაის დათესვამდე 2 — 3 წლით ადრე;

ზ) 1962 წელს დაამთავრონ ყველა მეჩხერი ჩაის პლანტაციის რემონტი მოხავსებული ნერგით, ხოლო ახალგაზრდა პლანტაციებში ყოველწლიურად ჩაატარონ შევსება;

თ) 1962 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე დაამთავრონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინერალური სასუქის არსებული საწყობებისა და ფარდულების რემონტი ჩაის პლანტაციებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ახალი საწყობებისა და ფარდულების მშენებლობა, რაც გაითვალისწინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1962 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმებით;

ი) დაუწესონ თვითეულ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას 1962 წლისათვის ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ტორფქარხნებიდან ტორფის გატანის გეგმა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში შესატანად 283.000 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონებისა და მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით, დანართის თანახმად;

კ) მოაწყონ 1962 წლის პირველ კვარტალში რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სკოლები ჩაის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის მოწინავეებისა და შუქურების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის;

ლ) ფართოდ მოაწყონ ჩაის პლანტაციებში ჩაის ფოთლის კრეფის პერიოდისათვის სასადილოები, დასასვენებელი ბანაკები და საველე სამზარეულოები ცხელი საჭმლის მოსამზადებლად კოლმეურნეებისა და მუშებისათვის, აგრეთვე უზრუნველყონ ჩაის პლანტაციების მთელი მასივები ჩაის ფოთლის დროებით შესანახი ფარდულებით;

მ) გააფართოონ საკოლმეურნეო საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი, უზრუნველყონ მათში სათანადო წესრიგი ბავშვთა მოვლისა და მათი კვების მხრივ;

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველომ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად გამოიყენოს სელექციური ჯიშების სათესლე მასალისა და პოპულაცია „კიმინის“ მთელი არსებული რაოდენობა პლანტაციების გასაშენებლად საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ფართოდ მოაწყოს საბჭოთა მეურნეობებში ამ ჯიშების გამრავლება ვეგეტაციური წესით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ ორი თვის ვადაში გამოარკვიოს, ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების მოყვანის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განაცხადებით, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის (ბარფიწლები, კულტივატორები, მაკრატლები, ნახევრადმძიმე და მძიმე სხვლისათვის) საერთო მოთხოვნილება და უზრუნველყოს მათი შეზიდვა რაიონებში 1962 წლის სეზონისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ჩაატაროს ჩაის პლანტაციების რწყვის სამუშაოები პირველ რიგში სრულასაკოვან პლანტაციებში და იმ რაიონებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ამ ღონისძიების გატარებისაგან მორწყვის პირველსავე წელს შეიძლება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების მეტი ეფექტის მიღება; შეათანხმოს მშენებლობის რიგითობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსთან.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ტორფქარხნების განაცხადებით გამოყოს საჭირო რაოდენობის ავტოტრანსპორტი ტვირთზიდვის გეგმების ფარგლებში ტორფკომპოსტების მისატანად რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

6. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას შეიტანოს ჩაის ფოთლის კრეფის 1962 წლის სეზონისათვის ჩაის რაიონებში ჩაის ფოთლის მკრეფავებისათვის მისაყიდად 60 ათასი მეტრი ქსოვილის ქვესადები მუშამბა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშები სპეცტანსაცმლით.

8. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, რაიონულ კომიტეტებს განიხილონ ეს დადგენილება მეჩაიეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებებზე და განახორციელონ ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მოვლის საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

9. 1962 წლის თებერვალში მოწვეულ იქნას ჩაის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი საოლქო კომიტეტებისა და რაიონული კომიტეტების მდივნების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების და რაიაღმასკომების თავმჯდომარეების მონაწილეობით ჩაის პლანტაციების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების საკითხზე.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს მიაღწიონ მეჩაიეობის ახალ აღმავლობას და მოითხოვენ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მასების მთელი ძალღონე და შემოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედებითი ენერგია წარმართონ იმ ღონისძიებათა განხორციელებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ 1962 წელს ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმის შესრულებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 28 ნოემბერი, № 725.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 725 დადგენილების დანართი

გ ე გ მ ა

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ტორფის გატანისა ტორფკომბინატის ქარხნებიდან ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში შესატანად 1962 წელს

(ათას ტონობით)

	ს ე ვ ნ ა	მათ შორის		ქარხნები, რომლებიდანაც ხდება ტორფის გატანა
		წლის პირველ ნახევარში	წლის მეორე ნახევარში	
აჭარის ასსრ	108	92,7	15,3	ქობულეთის ტორფქარხნიდან — 86 ათასი ტონა და ფოთის ტორფქარხნიდან — 22 ათასი ტონა
აქედან: კოლმეურნეობები	48	48	—	
საბჭოთა მეურნეობები	60	44,7	15,3	
აფხაზეთის ასსრ	54,6	44,6	10	ზუგდიდის ტორფქარხნიდან 360 ათასი ტონა და ფოთის ტორფქარხნიდან — 18,6 ათასი ტონა
აქედან: კოლმეურნეობები	17	17	—	
საბჭოთა მეურნეობები	37,6	27,6	10	
მახარაძის რაიონი	51	33	18	ფოთის ტორფქარხნიდან
აქედან: კოლმეურნეობები	15	15	—	
საბჭოთა მეურნეობები	36	18	18	
ლანჩხუთის რაიონი — კოლმეურნეობები	6	6	—	ფოთის ტორფქარხნიდან
ხობის რაიონი	10	7,5	2,5	ზუგდიდის ტორფქარხნიდან
აქედან: კოლმეურნეობები	—	—	—	
საბჭოთა მეურნეობები	10	7,5	2,5	
ზუგდიდის რაიონი	35	17	18	ზუგდიდის ტორფქარხნიდან
აქედან: კოლმეურნეობები	10	5	5	
საბჭოთა მეურნეობები	25	12	13	
წალენჯიხის რაიონი საბჭოთა მეურნეობები	5	3	2	ზუგდიდის ტორფქარხნიდან
ცხაკაიას რაიონი — საბჭოთა მეურნეობები	8	4	4	ფოთის ტორფქარხნიდან
ფოთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა	5,4	5,4	—	„
სულ	283	213,2	69,8	
აქედან: კოლმეურნეობები	96	91	5	
საბჭოთა მეურნეობები	187	122,2	64,8	

105 კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილება „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაწესდეს, რომ ახლად დასაწყები მშენებლობა, რეკონსტრუქცია და გაფართოება სამრეწველო საწარმოებისა, სატრანსპორტო და წყალთა მეურნეობის ნაგებობებისა, კავშირგაბმულობის ნაგებობებისა და სხვა ობიექტებისა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით:

ა) 1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე შეიძლება დაწყებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან;

ბ) 0,5-დან 1,5 მილიონ მანეთამდე, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს ობიექტებისათვის 1,0-დან 1,5 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარდგენით;

გ) 0,1-დან 0,5 მილიონ მანეთამდე, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს ობიექტებისათვის 0,3-დან 1 მილიონ მანეთამდე — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონო-

მიური ოლქის აღმასკომის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან;

დ) 0,1 მილიონ მანეთამდე, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს ობიექტებისათვის 0,3 მილიონ მანეთამდე — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის აღმასკომის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით.

სატიტულო სიებს გარდამავალი მშენებლობებისა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 0,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს ობიექტებისათვის 1-დან 2,5 მილიონ მანეთამდე დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო; სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 0,1-დან 0,5 მილიონ მანეთამდე, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს ობიექტებისათვის 0,3-დან 1 მილიონ მანეთამდე — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის აღმასკომი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით; სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 0,1 მილიონ მანეთამდე, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს ობიექტებისათვის 0,3 მილიონ მანეთამდე — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის აღმასკომი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები.

მშენებლობათა დამტკიცებული წლიური სატიტულო სიები შეიძლება შეიცვალოს დადგენილი წესით, იმ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რომელმაც დაამტკიცა ეს სიები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ და 1962 წლის 1 თებერვლამდე წარუდგინონ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1,5 მილიონ მანეთისა და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ყველა მშენებლობის სატიტულო სიები იმ ანგარიშით, რომ კაპიტალური დაბანდებანი განაწილდეს მშენებლობის მთელი პერიოდისათვის.

4. დაწესდეს, რომ 1962 წლიდან იმ სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და წყალთა მეურნეობის ნაგებობების ახალი მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონი მანეთიდან 50 მილიონ მანეთამდეა, ხოლო იმ სხვა ობიექტების ახალი მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, რომელთა ღირებულება 0,5 მილიონი მანეთიდან 50 მილიონ მანეთამდეა, გაივლიან სახელმწიფო ექსპერტიზას საქართველოს სსრ სახმშენში.

5. დაწესდეს, რომ 1962 წლიდან საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო დავალებებს სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდეგ დაამტკიცებენ:

F2484

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — 2,5-დან 50 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის აღმასკომი, სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტები და სამმართველოები, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი — 1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

გ) სამმართველოები და ტრესტები, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების სამმართველოები (განყოფილებები) — 0,1-დან 1,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

დ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები — 0,1 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის.

დამტკიცებულ საპროექტო დავალებათა ძირითადი მაჩვენებლების შეცვლა არ შეიძლება, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ამის უფლება ენიჭებათ: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სსრ სახმშენთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით—1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის, ხოლო 1,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის — იმ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რომელმაც ეს დავალება დაამტკიცა.

6. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და კაპიტალური მშენებლობის გეგმა დაუკავშირდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმებს, კონტროლი გაეწიოს ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას და საწარმო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემას და მნიშვნელოვანი მშენებლობების მშენებლობას, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახმშენის და სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატის გასაძლიერებლად მოეწყოს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში — კაპიტალური მშენებლობის სამმართველო;

ბ) საქართველოს სსრ სახმშენში პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზის განყოფილება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახმშენმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ და ფინანსთა სამინისტრომ ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებისა და სახმშენის სახელმწიფო ექსპერტიზის განყოფილების სტრუქტურა და შტატები.

დაწესდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და სახალხო მეურნეობის საბჭოში თანამდებობანი თავმჯდომარის პირველი მოადგილეებისა, რომლებიც განაგებენ მშენებლობის საკითხებს.

7. თავმოყრილ იქნას 1962 წლიდან საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების მშენებლობის დაპროექტება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობის დაპროექტება საქართველოს სსრ სახმშენში, რის გამო გადაეცეს საქართველოს სსრ სახმშენის გამგებლობაში საპროექტო ინსტიტუტები საქსახპროექტი და სოფლმშენპროექტი, ამასთან შეუნარჩუნდეთ ამ ორგანიზაციების მუშაკებს თანამდებობრივი განაკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თების მათთვის დაწესებული პერსონალური დანამატები, შეღავათები და უპირატესობანი.

8. საშენ მასალათა და ნაკეთობათა დამამზადებელი წვრილი საწარმოების შექმნისათვის სახსრების დაქსაქსვის არსებული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ სახმშენთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, მშენებლობის სამინისტროსთან, წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად 1961 წლის 15 დეკემბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი:

ა) საშენ მასალათა და კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოების მმართველობის ერთიან ორგანოში თავმოყრისა და ამ საწარმოთა სპეციალიზაციის შესახებ;

ბ) ისეთ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ რაიონული და სარაიონთაშორისო მნიშვნელობის მსხვილი საწარმოების შექმნას ასაწყობი რკინაბეტონისა და სხვა ნაკეთობებისაგან ტიპიური კონსტრუქციების დასამზადებლად.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახმშენს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და მშენებლობის სამინისტროს 1962 წლის 1 მარტამდე სსრ კავშირის სახმშენის მონაწილეობით შეამოწმონ საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მოქმედი საწარმოების არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების სისწორე, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი აღნიშნულ საწარმოთა წარმადობის გადიდებისათვის, რისთვისაც დანერგონ ამ საწარმოებში წარმოების უფრო პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, ჩაატარონ მოწყობილობის მოდერნიზაცია, აამაღლონ მოწყობილობის ცვლადობა, აგრეთვე დააკომპლექტონ ისინი საჭირო მოწყობილობითა და მასალებით.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს 1962 წლის 1 თებერვლამდე შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინონ გეგმა მშენებლობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისა ლითონის კონსტრუქციებით 1963 — 1965 წლებისათვის.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შეიმუშაოს და 1961 წლის 5 დეკემბრამდე წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1962 — 1963 წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო მექანიზმების, მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების გეგმა, ამასთან იქონიოს მხედველობაში მათი გამოშვების გადიდება მშენებლობის საჭიროებისათვის.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წესი ყველა მშენებლობის დაკომპლექტებისა მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით, გარდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისა, აგრეთვე არასტანდარტიზებული მოწყობილობით დაკომპლექტებისა ყველა მშენებლობისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების ჩათვლით.

13. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიამ სისტემატური კონტროლი გაუწიონ მშენებლობის ორგანიზაციის, კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების, სატიტულო სიების შედგენისა და ახალ მშენებლობათა დაწყების დადგენილი წესის დაცვას, ხოლო სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც დაქსაქსავენ გამოყოფილ სახელმწიფო, კაპიტალურ დაბანდებებს და სახსრებს დააბანდებენ დაუმთავრებელ წარმოებებში, რაც იწვევს მშენებლობის ვადების ჩაშლას და მის გაძვირებას.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სახმშენს 1962 წლის 15 იანვრისათვის წარმოადგინონ მოხსენება ამ დადგენილების შესრულების მიმდინარობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 28 ნოემბერი, № 727.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 920

1961 წლის 7 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ კაპიტალურ მშენებლობაში უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. შვიდწლედის ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა 2180 მსხვილი სამრეწველო საწარმო. ძირითადი ფონდები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ამ დროის მანძილზე გაიზარდა 53 მილიარდი მანეთით, ესე იგი იმაზე მეტად, რაც ეს ფონდები გაიზარდა მეხუთე ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში. საექსპლუატაციოდ გადაცემული ახალი სიმძლავრენი აღემატება წინა ხუთწლედში საექსპლუატაციოდ გადაცემულ სიმძლავრეებს: შავი ლითონის ნაგლინის წარმოებაში — 25 პროცენტით, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს წარმოებაში — 30 პროცენტით და ცემენტის წარმოებაში — 11 პროცენტით. გადიდდა საშენ მასალათა, განსაკუთრებით ცემენტისა და ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, დამამზადებელი საწარმოების სიმძლავრენი. ბევრი რამ გაკეთდა მშენებლობის მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებისათვის.

მაგრამ კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი დიდ ნაკლოვანებებს. ამჟამად ყველაზე დიდ ნაკლს წარმოადგენს კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალური რესურსების დაქსაქსვა ბევრ მშენებლობასა და ობიექტზე. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროები და უწყებები არადამაკმაყოფილებლად ათანხმებენ კაპიტალური მშენებლობის გეგმებს და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებთან და განსაკუთრებით მოწყობილობის წარმოებისა და მიწოდების გეგმებთან. ამის შედეგად, ერთსა და იმავე დროს შენდება გაცილებით იმაზე მეტი ობიექტები, რომლებიც შეიძლება დროზე იქნან უზრუნველყოფილი ლითონით, ცემენტით, ხე-ტყისა და სხვა სამშენებლო მასალებითა და მოწყობილობით. გარდა ამისა, ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც მატერიალური რესურსები გეგმური ობიექტებიდან და უმნიშვნელოვანესი მშენებლობებიდანაც კი გადააქვთ გეგმით გაუთვალისწინებელ მშენებლობაზე, რომელიც ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, რომელთა მოცულობამ მნიშვნელოვან ოდენობას მიაღწია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც მშენებლობები დროულად და სრულად არიან უზრუნველყოფილი სამუშაო ნახაზებით, მასალებით, კონსტრუქციებითა და მოწყობილობით, სადაც შექმნილია საჭირო საწარმოო ბაზა და ჩატარებულია შესაბამისი სამზადისი მშენებლობის დასაწყებად, საწარმოები და ნაგებობანი მოკლე ვადებში შენდება. მაგალითად, ბრძმედები და მარტენის ღუმელები შენდება 6-8 თვის განმავლობაში, ხოლო უდიდესი საგლინავი დგანები — ერთი წლის — წლინახევრის განმავლობაში.

იმის ნაცვლად, რომ უმოკლეს ვადებში დაამთავრონ წინათ დაწყებული მშენებლობა, ბევრი სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტრო და უწყება, ავრეთვე მთელ რიგ შემთხვევებში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებიც პარტიული ორგანოების თანხმობით მთავარ ამოცანად ისახავენ — რაც შეიძლება მეტი ფული „გამოგლიჯონ“ კაპიტალური მშენებლობისათვის და დაიწყონ ახალი მშენებლობები, ისინი ანგარიშს არ უწევენ იმას მიიპოვება თუ არა შესაძლებლობანი და რესურსები იმისათვის, რომ გადასცენ ისინი საექსპლუატაციოდ მოკლე ვადებში, ბევრ შემთხვევაში სატიტულო სიებში შეაქვთ ისეთი ობიექტები, რომელთა მშენებლობა არ არის გამოწვეული პირველი რიგის აუცილებლობით. ხშირად მშენებლობას იწყებენ იმის გაუთვალისწინებლად არის თუ არა შესაძლებლობა უზრუნველყოფილ იქნას ისინი საპროექტო დოკუმენტაციით, მასალებით, მოწყობილობით, იწყებენ ისე, რომ არ ეწევიან საჭირო საინჟინერო სამზადისს და წინასწარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ წყვეტენ ყველა იმ საკითხს, რომელზედაც დამოკიდებულია მშენებლობის წარმატებით მიმდინარეობა.

ასეთი პრაქტიკა იწვევს სახსრების დაქსაქსვას და გაყინვას დაუმთავრებელ წარმოებაში, ქმნის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში დისპროპორციას და ანელებს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს და მკაცრი დაგმობის ღირსია.

სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშენებლობისა და გაფართოების პროცესში მყოფი საწარმოების დირექტორებს, აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება არ მიაჩნიათ ისეთივე პირველხარისხოვან მოვალეობად, როგორიცაა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება, ისინი მიეჩვივნენ ასამუშავებელი ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების ჩაშლის დამკვიდრებულ პრაქტიკას.

მნიშვნელოვანი სიძნელეები იქმნება მშენებლობებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არა თავის დროზე და არაკომპლექტურად გაცემის შედეგად. პროექტების ხარისხი ბევრ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სამრეწველო მშენებლობაში ტიპობრივი პროექტები საკმაოდ არ არის გამოყენებული. საპროექტო ორგანიზაციები ითვალისწინებენ რკინაბეტონისა და სხვა მასალებისაგან ნაკეთობათა ტიპ-ზომების გაუმართლებლად დიდ რაოდენობას. მაგალითად, ტრესტ „ჩელიაბმეტალურგსტროიში“, „სიბმეტალურგსტროის“ სამმართველოში და ქიმიური ქარხნების მშენებლობაზე კუიბიშევის სახალხო მეურნეობის საბჭოში იყენებენ რკინაბეტონის ნაკეთობათა ათასამდე ტიპ-ზომას თვითეულში.

საპროექტო ორგანიზაციები საკმაო ანალიზს არ უკეთებენ საექსპლუატაციოდ გადასაცემ სიმძლავრეთა ერთეულის ღირებულებას, სამუშაო ნახაზების დამუშავების დროს დაუსაბუთებლად ადიდებენ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მუშაობას და შეცდომებს უშვებენ დაპროექტებული საწარმოების სიმძლავრეთა დადგენის საქმეში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტის საპროექტო ინსტიტუტმა „გიპროკაუჩუკმა“ სუმგაიტის, სტერლიტამაკის, კუიბიშევის და ომსკის სინთეზური კაუჩუკის ქარხნების დაპროექტების დროს შეუმოწმებელი გადაწყვეტილებანი მიიღო სინთეზური კაუჩუკის მიღების ტექნოლოგიური პროცესის შესახებ. ამ პროექტების მიხედვით აშენებულ საწარმოების სიმძლავრენი გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე საპროექტო სიმძლავრენი.

სხვადასხვა საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საპროექტო ინსტიტუტების მუშაობა საკმაოდ არ არის კოორდინირებული და წარმართული ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიცაა კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტურობის ამაღლება და მშენებლობის დროულად უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით.

ბევრ საწარმოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოში დამკვიდრდა პროექტებში დამატებითი ობიექტების შეტანის, სამუშაოთა მოცულობის გადიდების და ხარჯთაღრიცხვების დაუსაბუთებლად გადასინჯვის მანკიერი პრაქტიკა. ამის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტალურგიული, ქიმიური, კვების, საფეიქრო და მრეწველობის სხვა დარგების ბევრი შენდებადი საწარმოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. სტალინოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მთელი რიგი შახტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 50 — 70 პროცენტით გაიზრადა. ვეტკა-გლუბოკაიას შახტის პროექტი რამდენჯერმე გადაისინჯა, ამასთან შახტის სიმძლავრე არ შეცვლილა, ხოლო მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გაიზარდა 28,9 მილიონი მანეთიდან 52,8 მილიონ მანეთამდე.

ბევრი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შემოწმებამ დაადასტურა, რომ არსებობს დიდი შესაძლებლობანი ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებისათვის. მაგრამ ამ შესაძლებლობებს ძალიან ხშირად არ იყენებენ. პროექტების ექსპერტიზა არადამაკმაყოფილებელია და ბევრ შემთხვევაში ფორმალურად ტარდება. პროექტების დამტკიცება, როგორც წესი, სათანადო კრიტიკული შეფასების გარეშე ხდება.

სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების შემკვეთი საწარმოების ხელმძღვანელებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებმა შეასუსტეს კონტროლი

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხისადმი. მშენებლობის დაბალი ხარისხი დაშვებულია სინთეზური კაუჩუკის და სპირტის სინთეზის ქიმიური ქარხნების აგების დროს ქ. კუიბიშევში. ამ სამუშაოებს ასრულებდნენ კუიბიშევის სახალხო მეურნეობის საბჭოს და ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს „კუიბიშევგიდროსტროის“ სამშენებლო ორგანიზაციები. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს კემეროვოს, კრასნოიარსკის, სარატოვის და სხვა სახალხო მეურნეობის საბჭოების ზოგიერთ მშენებლობაზე.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის განვითარების დაგეგმვას, რის შედეგადაც მთელ რიგ რაიონებში აკლიათ მასალები და ნაკეთობანი, მაღალია მათი ღირებულება. სსრ კავშირის სახმშენმა ვერ უზრუნველყო საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის საწარმოთა ეკონომიური ტიპობრივი პროექტების შემუშავება მსხვილი სამრეწველო მშენებლობის რაიონებისათვის.

მსხვილი საწარმოების შექმნის აშკარა ეფექტურობის მიუხედავად, კაპიტალური დაბანდებანი საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის განვითარებისათვის მოკავშირე რესპუბლიკებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებში მეტწილად ხმარდება ისეთი წვრილი, ხშირად პარალელურად შენდებადი, საწარმოო ბაზების შექმნას, რომლებიც სხვადასხვა უწყებებს ექვემდებარებიან. არაეფექტურად ხდება იმ დიდი კაპიტალური დაბანდებების გამოყენება, რომლებსაც სახელმწიფო გამოყოფს ამ მიზნისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ კაპიტალურ მშენებლობას, ცუდად ახორციელებენ კონტროლს საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი, მშენებლობის გეგმების შემუშავების დროს მთელ რიგ შემთხვევებში არ იცავენ საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს და საქმეს უდგებიან უწყებრივი თვალსაზრისით, კუთხურობის პოზიციებიდან.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის, არადამაკმაყოფილებელ კონტროლს უწევენ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენებას, ჯეროვნად ვერ სარგებლობენ იმ უფლება-

ბით, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ მშენებლობაში სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად.

კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენების და შენდებადი საწარმოების დაწესებულ ვადებში საექსპლუატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს სახალხო მეურნეობის დარგების პროპორციული განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმებით, და შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესასრულებლად, შემოიღონ 1962 წლიდან მშენებლობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობის მოცულობის მტკიცე შესაბამისობას იმასთან, თუ რამდენად შესაძლებელია ამ მოცულობის უზრუნველყოფა მასალებითა და მოწყობილობით, გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებზე, მშენებლობის განხორციელებას ისეთი მაღალი ტემპებით, რომლებიც შესაძლებელია ტექნიკური და ტექნოლოგიური პირობებით, და მისი ღირებულების შემცირებას.

ამ მიზნით დაწესდეს, რომ:

ა) კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა ყველა მშენებლობის მიხედვით უნდა განისაზღვროს გეგმებით მშენებლობის მთელი პერიოდისათვის და განაწილდეს წლების მიხედვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების და ისეთი მშენებლობების დაფინანსება, რომლებიც კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე ხორციელდება, გეგმების გადაჭარბებით შესრულების დროს, უნდა ხდებოდეს ამ მშენებლობების კვარტალურ და წლიურ ასიგნებათა დამოუკიდებლად კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია წლიური გეგმებით მოკავშირე რესპუბლიკისათვის, სსრ კავშირის სამინისტროსა და უწყებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ახალი სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და წყალთა მეურნეობის ნაგებობების, კავშირგაბმულობის ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის დაწყებამდე უნდა დამთავრდეს საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება, აგრეთვე უნდა შესრულდეს საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები რაიონული სამშენებლო ბაზის შექმნისათვის, მშენებლობის უზრუნველყოფისათვის ელექტროენერგიით, წყლით, უნდა აშენდეს მისასვლელი გზები, გადაიჭრას საკითხები მშენებლობის უზრუნველყოფისა მასალებითა და მოწყობილობით და განხორციელდეს სხვა ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მისცემენ დაამთავრონ მშენებლობა მშენებლობის ხანგრძლიობის დაწესებული ნორმების შესაბამისად;

გ) ახალი მშენებლობანი შეიძლება დაწყებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ ანალოგიური გარდამავალი მშენებლობები სავსებით არიან უზრუნველყოფილი მასალებით, მოწყობილობით, დაფინანსებით, აგრეთვე მუშახელით და ხორციელდება დაწესებული ვადების შესაბამისად;

დ) მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ სახალხო სამეურნეო გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები უნდა იყოს ასამუშავებელი ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებების შესრულება, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება;

ე) სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, საწარმოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, მოწყობილობისა და კონსტრუქციების მიმწოდებელი ქარხნების და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების სისტემები აგებულ უნდა იქნას ასამუშავებელი ობიექტების და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულების და მოწყობილობისა და კონსტრუქციების დაწესებულ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

ვ) უნდა გაძლიერდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და შენდებად საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების მატერიალურ-ტექნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფის გეგმებთან შეთანხმებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ მოეწყოს კონტროლი მშენებლობის მიმდინარეობისა და ასამუშავებელი ობიექტების და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი;

ზ) სსრ კავშირის სახმშენის უმნიშვნელოვანესი ამოცანები უნდა იყოს: ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში; ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება სამშენებლო დაპროექტებაში; მშენებლობაში ტიპობრივი პროექტების მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველყოფა; მოცულობითი-საგეგმო გადაწყვეტის, აგრეთვე ტიპობრივი კონსტრუქციებისა და დეტალების დარგთშორისო უნიფიკაციის შემუშავება და დანერგვა საწარმოებისა, შენობებისა და ნაგებობებისათვის; უმნიშვნელოვანესი ობიექტების პროექტების ექსპერტიზა და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის საქმის ხელმძღვანელობა; საპროექტო ორგანიზაციათა ქსელის სრულყოფა, განვითარება და სპეციალიზაცია; საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის საწარმოთა დაპროექტება და ამ დარგებში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფა;

თ) ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მუშაობა იმ მხრივ, რომ მან კონტროლი გაუწიოს გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა სწორად, ეფექტურად გამოყენებას და მშენებლობის ღირებულების შემცირებას.

2. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ერთი თვის ვადაში განიხილონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს წარუდგინონ ყველა დაწყებული მშენებლობის სატიტულო სიები, გამოყონ უმნიშვნელოვანესი მშენებლობები, რომლებიც პირველ რიგში უნდა დამთავრდეს, დატოვონ მშენებლობაში ობიექტების ისეთი რაოდენობა, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალური დაბანდებებით, საშენი მასალებით, მოწყობილობით და მუშახელით, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა შენარჩუნებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნას შვიდწლიანი გეგმით დაწესებული დავალებანი და პროპორციები სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ განიხილონ მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წინადადებანი დროებით შეწყვეტილ მშენებლობათა და დანარჩენი ობიექტების მშენებლობის ვადების შესახებ და თავიანთი მოსაზრებანი წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, დროებით შეწყვეტილ მშენებლობებზე მუშაობა განაახლონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, დაწყებული ობიექტების მშენებლობის დამთავრების და ამ ობიექტებზე მუშახელის, აგრეთვე მექანიზმების განთავისუფლების მიხედვით და იმ პირობით, თუ მშენებლობები უზრუნველყოფილი არიან მასალებითა და მოწყობილობით იმ ანგარიშით, რომ მშენებლობა განხორციელდეს მოკლე ვადებში და ტექნიკური და ტექნოლოგიური პირობებით შესაძლებელი ტემპებით.

3. დაწესდეს, რომ 2,5 მილიონ მანეთის და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და წყალთა მეურნეობის ნაგებობების, კავშირგაბმულობის ნაგებობების და სხვა ობიექტების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და გაფართოება შეიძლება დაწყებულ იქნას მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რომლებიც მიღებული იქნება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით, და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური საბჭოს დასკვნებით, ხოლო 1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებისა — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების გადაწყვეტილებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა დაადგინონ 1,5 მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და წყალთა მეურნეობის ნაგებობების, კავშირგაბმულობის ნაგებობების და სხვა ობიექტების ახალი მშენებლობის დაწყების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების წე-

სი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოთა შესრულებას მშენებლობის ხანგრძლიობის ნორმების შესაბამის ვადებში.

2,5 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გარდამავალი მშენებლობების სატიტულო სიებს დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

წლიურ შიგასამშენებლო სატიტულო სიებს მშენებლობებისა, რომლებიც კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე ხორციელდება, აგრეთვე 2,5 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სხვა მშენებლობებისა დაამტკიცებენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები.

დაევალოთ შენდებად საწარმოთა დირექტორებს, სამშენებლო, სამონტაჟო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და სახალხო მეურნეობის საბჭოებს შიგასანაგებობო სატიტულო სიების შემუშავების დროს პირველ რიგში და მთლიანად უზრუნველყონ საჭირო ასიგნობებით საექსპლუატაციოდ გადასაცემი ობიექტები, აგრეთვე გაითვალისწინონ საჭირო ჭარბნაკეთი თანაბარი მუშაობისათვის მთელი წლის განმავლობაში, ამასთან არ დაუშვან სახსრების დაქსაქსვა.

4. სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოთა დირექტორებს და სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაიწყონ დადგენილი წესით ახალი მშენებლობანი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდება მთელი საჭირო სამზადისი მშენებლობისათვის და შეიქმნება პირობები მის განსახორციელებლად მშენებლობის ხანგრძლიობის ნორმებით დაწესებულ ვადებში. და შეიტანონ კაპიტალური მშენებლობის გეგმებში მშენებლობანი, რომლებსაც იმ წლის 1 სექტემბრისათვის, რომელიც წინ უძღვის დაგეგმილ წელს, აქვთ დადგენილი წესით დამტკიცებული ისეთი ტექნიკური დოკუმენტაცია და სამუშაო ნახაზები სამუშაოთა წლიური მოცულობისათვის, რომელთა მიხედვით განსაზღვრულია მოწყობილობის შეკვეთების განაწილების საკითხები, უზრუნველყოფილია მშენებლობის სათანადო საწარმოო ბაზა და გამოყოფილია საჭირო მასალები. მშენებლობათა ძირითადი ობიექტების მშენებლობა შეიძლება დაიწყოს იმ

მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების შემდეგ, რომელთა ნუსხა და მოცულობა განისაზღვრება სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტით, რომელიც შეთანხმებულია გენერალურ დამპროექტებელთან.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა დააფინანსოს სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო, წყალთა მეურნეობის ნაგებობების, კავშირგაბმულობის ნაგებობების და სხვა ობიექტების ახლად დაწყებული მშენებლობა, რეკონსტრუქცია და გაფართოება იმ პირობით, თუ დადგენილი წესით დამტკიცებულია სატიტულო სიები, პროექტები და ხარჯთაღრიცხვები. მშენებლობის ძირითადი ობიექტების დაფინანსება აწარმოოს მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების შემდეგ.

5. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და 1962 წლის 1 მარტამდე წარუდგინონ შესათანხმებლად სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 2,5 მილიონი მანეთის და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ყველა მშენებლობის სატიტულო სიები, კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებით მშენებლობის მთელი პერიოდისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შესაბამისად განიხილონ და დაამტკიცონ 1962 წლის 1 მარტამდე 1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ყველა მშენებლობის სატიტულო სიები ისე, რომ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განაწილდეს მშენებლობის მთელი პერიოდისათვის.

6. დაწესდეს, რომ, 1962 წლიდან დაწყებული სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და წყალთა მეურნეობის ნაგებობების, კავშირგაბმულობის ნაგებობების და სხვა ობიექტების ახალი მშენებლობის პროექტებმა და ხარჯთაღრიცხვებმა უნდა გაიარონ სახელმწიფო ექსპერტიზა: როდესაც სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 50 მილიონი მანეთი და მეტია — სსრ კავშირის სახმშენში, როდესაც სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5-დან 50 მილიონ მანეთამდეა — მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებში, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებში. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს განახორციელოს ამორჩევითი შემოწმება 50 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტების პროექ-

ტებისა და ხარჯთაღრიცხვებისა, რომლებსაც ამტკიცებენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები.

ამასთან დაკავშირებით, მოეწყოს სსრ კავშირის სახმშენის შემადგენლობაში პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველო. საჭიროდ ჩაითვალოს მოეწყოს რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ და ყაზახეთის სსრ სახმშენების შემადგენლობაში პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოები.

სსრ კავშირის სახმშენმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით და დაამტკიცოს ინსტრუქცია მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს აღნიშნული ინსტრუქციით სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწებების, საპროექტო და მაექსპერტებელი ორგანიზაციების და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა პროექტების ტექნიკური დონისა და მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისათვის.

7. დაწესდეს, რომ, 1962 წლიდან დაწყებული, საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო დავალებებს სათანადო ექსპერტიზის გავლის შემდეგ დაამტკიცებენ:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით — 50 მილიონი მანეთის და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები — 2,5-დან 50 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

გ) სახალხო მეურნეობის საბჭოები, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები — 1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

დ) სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები — 1,5-დან 50 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის.

დამტკიცებულ საპროექტო დავალებათა ძირითადი მაჩვენებლების შეცვლა არ დაიშვება, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ცვლილებებს შეიტანენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით—2,5-დან 50 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით — 1,5-დან 50 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის;

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები და უწყებები მოკავშირე რესპუბლიკის სახმშენთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით—1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისათვის.

1,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტების მშენებლობის საპროექტო დავალებათა დამტკიცება და შეცვლა იწარმოებს იმ წესით, რასაც დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები.

იმ ინსტანციების მიერ საპროექტო დავალებათა გადასინჯვა და ახლად დამტკიცება, რომელმაც ისინი წინათ დაამტკიცეს, შეიძლება მოხდეს აღნიშნული შეთანხმების გარეშე იმ შემთხვევაში, როდესაც სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ დიდდება და საწარმოო სიმძლავრე არ მცირდება.

8. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და შეთანხმებულ იქნას კაპიტალური მშენებლობის გეგმა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმებთან, კონტროლი გაეწიოს ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემას, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაგებობათა მშენებლობას და მათს დროულად დაკომპლექტებას მოწყობილობით, — მოეწყოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში:

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, რომელიც განახორციელებს კონტროლს საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობის მიმდინარეობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი;

კაპიტალურ დაბანდებათა განყოფილება (კაპიტალური მშენებ-

ლობის არსებული განყოფილების ნაცვლად) სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგების, მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების და საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა შესამუშავებლად;

სამშენებლო ინდუსტრიის განყოფილება, რომელსაც დაეკისრება სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა პროგრამის დაგეგმვა, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციის გეგმის შედგენა, წინადადებების შემუშავება სამშენებლო და საგზაო მანქანების განაწილების შესახებ, მშენებლობაში ახალი ტექნიკისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის გეგმების შემუშავება (შეჯამებითი გეგმებისა მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით), აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სპეციალიზაციის სამუშაოთა შესრულება.

საშენ მასალათა მრეწველობის და კონსტრუქციების განყოფილება სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენი მასალების არსებული განყოფილების ბაზაზე;

საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის განყოფილება, რომელსაც დაეკისრება დაგეგმვა მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით იმ სამუშაოებისა, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებულმა საპროექტო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, აგრეთვე საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა გეგმების სარესპუბლიკათაშორისო და საუწყებათაშორისო კოორდინაციის განხორციელება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დარგობრივ განყოფილებებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაგეგმვის ხარისხისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურად წარმართვისათვის სახალხო მეურნეობის დარგებში და კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების შეთანხმებისათვის საწარმოების არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გეგმებთან და მშენებლობათა უზრუნველყოფისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციითა და მოწყობილობით.

დაწესდეს თანამდებობა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა, რომელიც განაგებს კაპიტალური მშენებლობის საკითხებს.

მოეწყოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შავი და ფერადი მეტალურგიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტების მთავარი სამმართველო („სოიუზგლავმეტალურგკომპლექტი"), რადიოელექტრონული მრეწველობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტების მთავარი სამმართველო („სოიუზგლავრადიოკომპლეკტი") საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტების მთავარი სამმართველო — („სოიუზგლავსტროიკომპლეკტი").

რეორგანიზებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული შავი და ფერადი მეტალურგიის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი უმნიშვნელოვანესი საწარმოებისათვის, ნავთობგადამამუშავებელი და ცემენტის ქარხნებისათვის, ასბესტის მრეწველობის საწარმოებისათვის, შაქრის ქარხნებისა, ქვანახშირის შახტებისა და სამთამადნო საწარმოებისათვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველო („სოიუზგლავკომპლეკტი") სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ქვანახშირის, ნავთობის და მრეწველობის სხვა დარგების მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტების მთავარ სამმართველოდ („სოიუზგლავკომპლეკტი").

რეორგანიზებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიური მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი უმნიშვნელოვანესი საწარმოებისათვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველო („სოიუზგლავხიმკომპლეკტი") სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ქიმიური და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთო-

ბებით დაკომპლექტების მთავარ სამმართველოდ („სოიუზგლავ-ხიმკომპლექტი“).

9. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებში, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებში კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის ორგანიზაციისა და ამ მშენებლობის მიმდინარეობისადმი კონტროლის გაუმჯობესების შესახებ, გაითვალისწინონ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოების შექმნა, საჭირო შახტების დაწესება და კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის, მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის და სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეთა თანამდებობის შექმნა, რომლებიც განაგებენ მშენებლობის საკითხებს, ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის იმ საერთო რაოდენობის ფარგლებში, რაც რესპუბლიკებს დაუწესდათ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიხედვით.

10. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, 1962 წლიდან დაწყებული:

ა) კომპლექსურად გეგმონ ქალაქებიდან დაშორებით მდებარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაგებობების მშენებლობა მათ მიერ დაწესებული ნუსხის მიხედვით, ამასთან გამოყონ კაპიტალური დაბანდებანი როგორც სამრეწველო მშენებლობისათვის, ისე საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისთვისაც და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისთვისაც;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წლიური გეგმებით გამოყონ ცალკე სტრიქონად სამშენებლო და საგზაო მანქანები და ძირითადი ამწევ-სატრანსპორტო მოწყობილობა მშენებლობისათვის;

გ) დაამტკიცოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით იმ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობა, რომლებიც შესრულებულ უნდა იქნას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის;

დ) შეიტანონ მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმებში საპროექტო-საძიებო სამუშაოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მშენებლობებისათვის, რომელთა დაპროექტება ახლად იწყება, 2,5 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით. მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა 1963 წლის გეგმები დაამტკიცონ 1962 წლის 1 მაისამდე.

11. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტების გაუმჯობესების და ისეთი პრაქტიკის ლიკვიდაციის მიზნით, რომლის დროსაც ერთი და იგივე მშენებლობების დაკომპლექტებას მოწყობილობებით რამდენიმე ორგანიზაცია ახორციელებდა, დაწესდეს, რომ 1962 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების მთავარი სამმართველოები დააკომპლექტებენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობებს მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით იმ პროდუქციის მთელი ნომენკლატურის მიხედვით, რომელსაც ანაწილებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამმართველოები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები. ამ მშენებლობათა სიებს დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახალხო-სამეურნეო გეგმების შემადგენლობაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაამტკიცოს წესი აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების დაკომპლექტებისა მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა დაამტკიცონ წესი ყველა დანარჩენი მშენებლობის დაკომპლექტებისა მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით, აგრეთვე ყველა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობისა არასტანდარტიზებული მოწყობილობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა პირველ რიგში გამოუყონ დამამზადებელ ქარხნებს მასალე-

ბი და მაკომპლექტებელი ნაკეთობანი, რომლებიც საჭიროა შეკვეთების შესასრულებლად განრიგებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებთან ერთად იმის გაანგარიშებანი, თუ რამდენი ლითონნაგლინი იქნება საჭირო არასტანდარტიზებული მოწყობილობის დასამზადებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშაონ 1962 წელს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი არასტანდარტიზებული მოწყობილობის დამზადების მოწესრიგების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეათანხმონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების მთავარ სამმართველოებთან საიმპორტო მოწყობილობისა და ნაკეთობათა კომპლექტურობა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის მათი მიწოდების ვადები.

აეკრძალოს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს იმ საიმპორტო მოწყობილობისა და ნაკეთობათა მიწოდების ვადების შეცვლა, რომლებიც შეძენილია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების შესაბამის მთავარ სამმართველოებთან შეუთანხმებლად.

უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების მთავარ სამმართველოებს გადაანაწილონ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობებს შორის მათთვის გამოყოფილი მოწყობილობა, ხელსაწყოები, საკაბელო და სხვა ნაკეთობანი, აგრეთვე კონტროლი გაუწიონ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა დამზადებისა და მიწოდების მიმდინარეობას.

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა საწარმოთა მუშაობის შეფასების დროს გაითვალისწინონ, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლები, განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის მოწყობილობისა და ნაკეთობათა მიწოდების განრიგების შესრულება.

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველთვიურად — 15 რიცხვამდე წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების მთავარ სამმართველოებს საინფორმაციო ანგარიშები განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა მშენებლობის, მათთვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა მიწოდების მიმდინარეობის შესახებ.

დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების მთავარ სამმართველოებს წარუდგენენ იმ წლის 1 აპრილამდე, რომელიც წინ უძღვის დაგეგმილ წელს, გაანგარიშებებს, თუ რამდენი მოწყობილობა, ხელსაწყოები, საკაბელო და სხვა ნაკეთობანი სჭირდებათ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობებს დაგეგმილი წლისათვის (შეკვეთის სპეციფიკაციებით).

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა პროდუქციის სარეპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარმა სამმართველოებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ განაწილების გეგმებით (მათ მიერ გასანაწილებელი პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით), რომ გამოეყო ცალკეულ სტრიქონად მიზნობრივი დანიშნულებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების მთავარ სამმართველოებს, აგრეთვე ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს „გლავენერგოკომპლეკტს“, გზათა სამინისტროს და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მათი განაცხადებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის მოწყობილობა, ხელსაწყოები, საკაბელო და სხვა ნაკეთობანი სრული მოცულობით და გაითვალისწინონ ისინი სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ფონდებით.

აღნიშნული მოწყობილობის, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა განაწილება განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობებს შორის დაეკისროთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტების მთავარ სამმართველოებს.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაამტკიცოს და 1962 წლიდან შემოიღოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა მიწოდების განრიგის განსაკუთრებული ფორმა, რაც სავალდებულოა სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის, სამინისტროებისა და უწყებებისათვის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისა და მათდამი დაქვემდებარებული იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც იძლევიან ამ პროდუქციის მიწოდების განრიგებს.

დაეკისროთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს და დამამზადებელ ქარხნებს იმისათვის პასუხისმგებლობა, რომ პირველ რიგში დამზადდეს და განრიგების თანახმად გაიგზავნოს მოწყობილობა და ნაკეთობანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის განრიგებით გათვალისწინებულ ვადებში.

ნება დართოს 1962 და 1963 წლებში სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს შეიტანონ შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობაში ღირებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის არასტანდარტიზებული მოწყობილობის დამზადებისა სამშენებლო მოედნებზე და სამონტაჟო ორგანიზაციათა სახელოსნოებში, იმ კვანძებისა და დეტალების ღირებულების ჩაუთვლელად, რაც ქარხნებმა დაამზადეს.

12. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, კომპლექტური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მშენებლობის უზრუნველყოფის მიხედვით, უზრუნველყონ, რომ მშენებლობათა მოთხოვნილება მასალებზე განისაზღვროს სამუშაოთა ფიზიკური მოცულობის მიხედვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყე-

ბებმა განსაზღვრონ, 1962 წლიდან დაწყებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისა და ასამუშავებელი ობიექტების მოთხოვნილება მასალებზე, ლითონზე, მილებსა და სხვა ნაკეთობებზე და გამოყონ აღნიშნული პროდუქცია მათთვის გამოყოფილი რესურსების ანგარიშში, სამუშაოთა ფიზიკური მოცულობის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.

სსრ კავშირის სახმშენმა 1963 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაოს პროგრესული დარგობრივი ნორმები მშენებლობაში ძირითადი მასალების ხარჯვისა ერთი მილიონი მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ყველაზე ეკონომიური პროექტების საფუძველზე. მასალების ხარჯვის ნორმები შემუშავებულ უნდა იქნას ყველა ძირითადი საშენი მასალისათვის, მილებისათვის, საკაბელო და სანიტარულ-ტექნიკური ნაკეთობებისათვის. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცონ მასალების ხარჯვის შემუშავებული ნორმები და სსრ კავშირის სახმშენმა გამოსცეს ამ ნორმების ცნობარები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც საპროექტო ორგანიზაციები მოეპოვებათ, უზრუნველყონ, 1962 წლიდან დაწყებული, რომ შეტანილ იქნას მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობაში უწყისები საჭირო მასალებისა, კონსტრუქციებისა და ნახევარფაბრიკატებისა, აგრეთვე მონაცემები ძირითადი კონსტრუქციების, ლითონნაგლინის, მილების, ცემენტის და ხე-ტყის მასალის საწარმოო სიმძლავრის ერთეულზე ხვედრითი ხარჯვის შესახებ. სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშაოს 1961 წელს, დაამტკიცოს და გამოსცეს შესაბამისი ინსტრუქცია.

13. იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგების მიზნით, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ანგარიშში:

ა) შემცირდეს 1962 წლის 1 იანვრიდან 50 პროცენტით მოგებათა და დაფინანსების სხვა წყაროების სახსრების ყველა იმ ანარიცხის ოდენობა, რაც სსრ კავშირის მთავრობის მოქმედ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხმარდება კაპიტალურ მშენებლობას, რომე-

ლიც ხორციელდება სახელმწიფო გეგმის გადამეტებით დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, გარდა საწარმოს და ორგანიზაციის (უფროსის, დირექტორის) ფონდის სახსრებისა, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პრემიებისა, რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობის ორპროცენტიანი ანარიცხებისა, აგრეთვე ზეგეგმითი მოგების და ეკონომიის 30-პროცენტიანი ანარიცხებისა, რომლებიც ხმარდება საცხოვრებელი სახლების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას;

ბ) დაწესდეს, რომ 1962 წლის 1 იანვრიდან კაპიტალური დაბანდებანი მეღვინეობის, საკონსერვო, კვების კონცენტრატის და ხილბოსტნეულის მრეწველობის განვითარებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით. ამასთან დაკავშირებით, გაუქმდეს 1962 წლის 1 იანვრიდან სახსრების ანარიცხი მრეწველობის ამ დარგების განვითარებისათვის, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის № 893 და 1960 წლის 20 იანვრის № 84 დადგენილებებით, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 14 დეკემბრის № 1396—649 დადგენილებით;

გ) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა განსაზღვრონ იმ კრედიტების ოდენობა, რომლებიც 1962 წელს ეძლევათ, სსრ კავშირის მთავრობის მოქმედ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კაპიტალური მშენებლობისათვის სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს (გარდა კრედიტებისა ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების სრულყოფისათვის), იმ კრედიტების ოდენობით, რომლებიც ფაქტიურად გაცემულია 1960 წელს კაპიტალური მშენებლობისათვის მთლიანად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ხაზით; აძლიონ კრედიტები კაპიტალური მშენებლობისათვის, როდესაც წარდგენილი იქნება დოკუმენტები საშენი მასალებით მისი უზრუნველყოფის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად;

დ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოახმარონ კაპიტალურ მშენებლობას სახსრების არა უმეტეს 25 პროცენტისა მათს განკარგულებაში არსებული სარეზერვო ფონდები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან. სარეზერვო ფონდის ანგარიშში მშენებლობისათვის სახსრების გამოყოფის დროს იმავდროულად გადაწყვიტონ საკითხი ამ მშენებლობის უზრუნველყოფისა მასალებითა და მოწყობილობით;

ე) დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების დროს გამოვლინებული და მიღებული დამატებითი შემოსავლის ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს კაპიტალური მშენებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მშენებლობისათვის საჭირო არ არის ფონდირებული სამენი მასალები და მოწყობილობა.

დაწესდეს, რომ სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება ობიექტების მშენებლობისათვის, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო გეგმის ზევით დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, წარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით იმ მშენებლობებისათვის, რომლებიც სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით სრულდება;

ვ) დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან შეთანხმებით დააზუსტოს მოქმედი ანგარიშგება იმ სახსრების გამოყენების შესახებ, რომლებიც ხმარდება კაპიტალურ მშენებლობას, რაც ხორციელდება სახელმწიფო გეგმის გადამეტებით დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ უნდა გამოირიცხოს ანგარიშგებიდან საბიუჯეტო ასიგნობანი, რომლებიც ხმარდება მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენას სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, სკოლებისა, საავადმყოფოებისა, საბავშვო ბაღებისა და ბაგებისათვის.

14. სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად 1962 წლის 1 მარტამდე შეიმუშაონ ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა მრეწველობის განვითარების ერთიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ფართო სპეციალიზაციას და კოოპერირებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყე-

ბებმა აღმოფხვრან არსებული პრაქტიკა სახსრების დაქსაქსვისა საშენი მასალების და ნაკეთობათა დამამზადებელი წვრილი საწარმოების შესაქმნელად, რისთვისაც:

ა) სამი თვის ვადაში განიხილონ საშენი მასალებისა და კონსტრუქციების დამამზადებელი იმ საწარმოების დაქვემდებარების საკითხი, რომლებიც იმყოფებიან სახალხო მეურნეობის საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში, თავი მოუყარონ ამ საწარმოების მართვა-გამგეობას ერთიან ორგანოში და განახორციელონ მათი სპეციალიზაცია;

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რაიონული და სარაიონთაშორისო მნიშვნელობის მსხვილი საწარმოების შექმნა, რომლებიც ტიპობრივ კონსტრუქციებს დაამზადებენ ასაწყობი რკინაბეტონისა და სხვა ნაკეთობებისაგან;

გ) 1962 წლის 1 მარტამდე შეამოწმონ სსრ კავშირის სახმშენის მონაწილეობით თუ რამდენად სწორად ხდება საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის მოქმედი საწარმოების არსებულ სიმძლავრეთა გამოყენება, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ საწარმოთა ნაყოფიერების გადიდებისათვის იმ ანგარიშით, რომ შემოღებულ იქნას მათში წარმოების უფრო პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, მოხდეს მოწყობილობის მოდერნიზაცია, გადიდდეს მოწყობილობის ცვლადობა, აგრეთვე დაკომპლექტებულ იქნან ისინი საჭირო მოწყობილობითა და მასალებით;

დ) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის საწარმოებისათვის მოწყობილობის (ლითონის ფორმების და აღჭურვილობის ჩათვლით) დამამზადებელი მთელი რიგი მანქანათმშენებლობის საწარმოების სპეციალიზაციისა და იმის შესახებ, რომ შეიქმნას ამ საწარმოებში საკონსტრუქტორო ბიუროები მათ მიერ დასამზადებელი მოწყობილობის სამუშაო ნახაზების დამუშავებისა და არსებული მოწყობილობის სრულყოფისათვის, აგრეთვე მრეწველობის აღნიშნული დარგების საწარმოებისათვის ახალი სახის მანქანებისა და მოწყობილობის შესამუშავებლად.

15. სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა

და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ ლითონის კონსტრუქციებზე მშენებლობის მოთხოვნილების უზრუნველყოფის 1963-1965 წლების გეგმა, ამასთან იქონიონ მხედველობაში სამშენებლო ლითონკონსტრუქციების ქარხნების განთავისუფლება მათთვის შეუფერებელი პროდუქციის დამზადებისაგან და 1962 წლის 1 მარტისათვის წარმოუდგინონ ეს გეგმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

16. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ და 1961 წლის 1 დეკემბრამდე წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 — 1963 წლებში სამშენებლო მექანიზმების, მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების გეგმა, ამასთან იქონიონ მხედველობაში მათი წარმოების გადიდება მშენებლობის საჭიროებისათვის.

17. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს:

ა) განიხილოს დადგენილი წესით მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიები;

ბ) შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის მსხვილი ეკონომიური რაიონებისათვის საშენ მასალათა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის განვითარების პერსპექტიული გეგმები.

18. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენები ათანხმებდნენ თავიანთ საქმიანობას სსრ კავშირის სახმშენთან და მუშაობდნენ მათთან შეთანხმებული გეგმების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის დარგში, უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული კაპიტალური დაბანდებანი, მაქსიმალურად დაინერგოს მშენებლობაში ტიპობრივი პროექტები და დარგთშორისი უნიფიცირებული მოცულობით — საგეგმო გადაწყვეტილებანი, აგრეთვე საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა სამშენებლო კონსტრუქციები.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციები, ნორმები, სტანდარტები, ტიპობრივი პროექტები და კონსტრუქციები, უნიფიცირებული მოცულობით — საგეგმო გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის, წყალთა მეურნეობის და სასოფლო მშენებლობის საწარმოებისა, შენობებისა და ნაგებობებისათვის და სხვა ნორმატიული მასალები მშენებლობის დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გში სავალდებულოა ყველა სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციისათვის, სამინისტროებისა, უწყებებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ ზომები მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების აპარატის განსამტკიცებლად, გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა მშენებლობასა და საშენი მასალების მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისათვის, რესპუბლიკაში საპროექტო საქმის, მშენებლობისა და დაპროექტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

19. სსრ კავშირის სახმშენმა:

ა) შეიმუშაოს 1962 წელს ნომენკლატურა ტიპობრივი კონსტრუქციებისა და დეტალებისა ასაწყობი რკინაბეტონისა და სხვა მასალებისაგან, ამასთან იქონიოს მხედველობაში მათი ტიპ-ზომების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება და 1963 წლის 1 იანვრისათვის წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ანგარიში სამრეწველო მშენებლობაში ტიპობრივი კონსტრუქციებისა და დეტალების დანერგვის შესახებ;

ბ) შეიმუშაოს სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში არსებული საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით და დაამტკიცოს 1962—1963 წლებში იმ მასობრივი სამრეწველო მშენებლობის ობიექტების საპრეისკურანტო ფასები, რომლებიც ტიპობრივი პროექტებით ხორციელდება;

გ) დაამტკიცოს 1961 წლის IV კვარტალში ინსტრუქცია სამრეწველო მშენებლობისათვის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შემუშავების შესახებ. ამასთან გაითვალისწინოს ამ ინსტრუქციით საპროექტო დოკუმენტაციის მოცულობის შემცირება.

20. თავმოყრილ იქნას, 1962 წლიდან დაწყებული, საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის საწარმოთა დაპროექტება სსრ კავშირის სახმშენში, ამასთან დაკავშირებით, გადაეცეს სსრ კავშირის სახმშენის გამგებლობაში საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები № 1 დანართის თანახმად. საპროექტო ორგანიზაციების გადაცემა მოხდეს იმ წესის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 22 მაისის № 556 დადგენილებით. შეუნარჩუნდეთ ამ ორგანიზაციების მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთების მათთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებული პერსონალური დანამატები, შეღავათები და უპირატესობანი.

მოეწყოს სსრ კავშირის სახმშენთან საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მრეწველობის საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა მთავარი სამმართველო („გლავსტროიპროეკტი").

21. მრეწველობის დარგების განვითარებაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, მათი განვითარების სამუშაოთა კოორდინაციისათვის, ტექნიკურ-ეკონომიური პრობლემების დამუშავებისათვის, ახალ წარმოებათა და საწარმოთა სწორი განლაგების უზრუნველყოფისათვის, მრეწველობის დარგების ნედლეულის ბაზების შესწავლისათვის, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაგეგმვისათვის და საპროექტო დოკუმენტაციით მშენებლობის უზრუნველყოფისათვის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმების შესაბამისად, საჭიროდ ჩაითვალოს შეიქმნას:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტი;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი.

შეტანილ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბრძანებულებათა პროექტები ამ საკითხებზე.

22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაონ, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის სახმშენის მიერ მომზადებული მეთოდიკის მიხედვით ხვედრით კაპიტალურ დაბანდებათა ნორმატივები, რათა გამოყენებულ იქნან ისინი ობიექტების დაპროექტებისა და კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის დროს.

23. სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს საპროექტო ორგანიზაციათა ძალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით და დაამტკიცოს 1962 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის დარგების მიხედვით იმ საწარმოების ნომენკლატურა, რომლებსაც ოპტიმალური საწარმოო სიმძლავრენი აქვთ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1962—1963 წლებში სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით სამრეწველო საწარმოების ტიპობრივი პროექტები საწარმოთა აღნიშნული ნომენკლატურის საფუძველზე.

24. სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ღრმად შეისწავლონ ჩვენს ქვეყანაში საპროექტო საქმის მდგომარეობა და შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საპროექტო საქმის ძირეულად გაუმჯობესება, აგრეთვე საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების დაინტერესების ამაღლება, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება პროექტების ხარისხისა და ეკონომიური დონისათვის, მათი ეკონომიურობისა და დაპროექტების ვადებისათვის. ამასთან იქონიონ მხედველობაში რომ საჭიროა საპროექტო ორგანიზაციების სიმძლავრეთა მოყვანა საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად და მშენებლობათა დროზე უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით, უმთავრესად არა საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე, არამედ იმის ხარჯზე, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული მშენებლობაში ტიპობრივი პროექტები, მოხდეს საპროექტო ორგანიზაციების სპეციალიზაცია, მათი აღჭურვა ელექტრონული საანგარიშო მანქანებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკით.

სამრეწველო მშენებლობის დაპროექტების სპეციალიზაციის განვითარების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს მრეწველობის ძირითადი დარგების საწარმოთა პროექტების სამშენებლო ნაწილის დამუშავების თავმოყრა სსრ კავშირის სახმშენის სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციებში. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა გადასცენ სსრ კავშირის სახმშენის გამგებლობაში საპროექტო ორგანიზაციები № 2 დანართის თანახმად. საპროექტო ორგანიზაციების გადაცემა მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 22 მაისის № 556 დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. შეუნარჩუნდეთ ამ ორგანიზაციების მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთების მათთვის დაწესებული პერსონალური დანამატები, შეღავათები და უპირატესობანი.

25. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას სახალხო მეურნეობის სრულიად რუსეთის საბჭოსთან სატყეო, ქაღალდის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მთავარი სამმართველო („გლავნიილესბუმპროექტი"), ამასთან დაეკისროს მას მრეწველობის აღნიშნული დარგების ობიექტების დაპროექტების ხელმძღვანელობა და ამ საქმის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფა მთლიანად სსრ კავშირში.

26. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან შეთანხმებით 1961 წლის 1 დეკემბრამდე მისცეს მითითებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების და იმ მშენებლობების დაფინანსების წესის შესახებ, რომლებიც კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე ხორციელდება, წლიურ ასიგნებათა ზევით, მათ მიერ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს.

27. იმ სახსრების სწორად გამოყენებისადმი საფინანსო კონტროლის გაძლიერების მიზნით, რომლებსაც სახელმწიფო გაიღებს კაპიტალური დაბანდებებისათვის, მიზანშეწონილად ჩაითვალოს გამოიყოს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკი (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობიდან.

შეტანილ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პროექტი ბრძანებულების ამ საკითხზე.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის და მისი დაწესებულებების მუშაობის მთავარი შინაარსი უნდა იყოს, რომ კონტროლი გაუწიონ კაპიტალურ დაბანდებათა სწორად გამოყენებას, კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების და-

ვალებათა შესრულებას, შიგასამეურნეო რეზერვების მობილიზაციას, სამეურნეო ორგანიზაციათა, საწარმოთა და მშენებლობათა იმ სახსრების დროულად შემოსვლას, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დაცვას, აგრეთვე მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. მიენიჭოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს მშენებლობაში დაფინანსების, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების უფლებები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

28. დაევალოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს:

ა) ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამაღლდეს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის როლი და გაფართოვდეს მისი უფლებები კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების დარგში, ამასთან იქონიოს მხედველობაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების თავმოყრა ერთ ბანკში, აგრეთვე წარმოადგინოს ღონისძიებანი საჭირო დახმარების გაწევისა და ბანკის და მის დაწესებულებათა აპარატის განმტკიცებისათვის;

ბ) 1962 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური საბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მონაწილეობით წინადადება კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების წესის გაუმჯობესების შესახებ და წარმოუდგინოს იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

29. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაჯილდოებულ იქნან:

სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, საწარმოებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაკები ასამუშავებელი ობიექტების, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის დანიშნულ ვადაში და ვადამდე;

საპროექტო ორგანიზაციების მუშაკები — მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაციით დროულად უზრუნველყოფისა და ეკონომიური პროექტების შემუშავებისათვის;

მოწყობილობისა და კონსტრუქციების მიმწოდებელი ქარხნების მუშაკები — კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის, კონსტრუქციების, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა ვადაზე და ვადამდე მიწოდებისათვის.

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით 3 თვის ვადაში მოამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადება იმის შესახებ, რომ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ურალისა და ყაზახეთის მშენებლობანი და საპროექტო ორგანიზაციები უზრუნველყოფილ იქნან მუშებითა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით.

31. გადაეცეს ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს, 1962 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, 600 ათასი კვტ და მეტი საპროექტო სიმძლავრის რაიონული ელექტროსადგურების მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები.

სსრ კავშირის სახემლწიფო საგეგმო კოიმტეტმა გაითვალისწინოს გეგმებით, რომ ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს გამოეყოს ამ მიზნებისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გადასცენ 1962 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს აღნიშნული ელექტროსადგურები და შენდებადი ელექტროსადგურების დირექციები.

32. დაევალოთ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს და სახმშენს 2 თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენებისა და საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის განხორციელების საქმეში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მუშაობის გაფართოების შესახებ, აგრეთვე მშენებლობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესების შესახებ.

33. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიამ სისტემატური კონტროლი გაუწიონ მშენებლობის ორგანიზაციის, კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების, სატიტულო სიების შედგენის და ახალ მშენებლობათა დაწყების დადგენილი წესის დაცვას, ხოლო სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც დაუშვებენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვას და სახსრების გაყინვას დაუმთავრებელ მშენებლობაში, რაც იწვევს მშენებლობის ვადების ჩაშლას და მის გაძვირებას.

34. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს 1961 წლის 15 ნოემბრამდე მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წელს ასამუშავებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულების მიმდინარეობა და 1962 წლის 1 თებერვლისათვის — ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

35. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

* *
*

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურად გამოყენებას და შენდებადი საწარმოებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალებენ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გააძლიერონ კონტროლი კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის, მშენებლობების კომპლექტური ტექნიკური დოკუმენტაციით უზრუნველყოფის დავალებათა შესრულებისადმი, მშენებლობის ხარისხისა და გამოშვებული საშენი მასალების, კონსტრუქციების და ნაკეთობათა ხარისხისადმი, აგრეთვე მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებისათვის, ასამუშავებელი მშენებლობების მოწყობილობითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფისათვის, ამასთან არ დაუშვან მათი დაქსაქსვა მშენებლობის მრავალრიცხოვან ობიექტებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

106 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის № 492 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობა-მეღვინე-

ობის შემდგომი განვითარებისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

უკანასკნელ წლებში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ვენახების შემდგომ განვითარებასა და მოვლას, რის შედეგად შემცირდა ვენახების მოსავლიანობა და არ სრულდება სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ახალგაზრდა ვენახები, საძირე ვაზის სადედეები და სანერგეები.

რაიონული პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს დღემდეც არა აქვთ შეგნებული საზოგადოებრივი მეურნეობის, კერძოდ, მევენახეობის განვითარების პოლიტიკური მნიშვნელობა.

მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში იმყოფება უფრო მეტი ვენახები, ვიდრე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და ისინი 2-3-ჯერ მეტ საშუალო მოსავალს იღებენ, მაგალითად, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში 1959 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებულია 47,6 ცენტნერი ყურძენი, 1960 წელს — 26,2 ცენტნერი, ხოლო 1961 წელს 26 ცენტნერი, საკარმიდამო ნაკვეთებზე კი მიღებულია 1959 წელს 104 ცენტნერი და 1960 წელს 80 ცენტნერი ყურძენი. მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში 1959 წელს მიღებულია 26,3 ცენტნერი ყურძენი და 1960 წელს 26 ცენტნერი, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებზე 1959 წელს — 102 ცენტნერი და 1960 წელს — 125 ცენტნერი.

ზესტაფონის რაიონში განსაზოგადოებული ვენახების ფართობი შეადგენს მხოლოდ 46 პროცენტს, მაიაკოვსკის რაიონში — 35 და ვანის რაიონში — 33 პროცენტს.

არ სრულდება ვენახების გაშენების გეგმები ჯიშების მიხედვით. კახეთში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული საფერავის, მწვანესა და ხიხვის ჯიშების ნაცვლად მრავლდება მხოლოდ რქაწითელი, ახმეტის რაიონს შვიდწლიანი გეგმით 1959—1960 წლებში უნდა გაეშენებინა კოლმეურნეობებში საფერავის, მწვანისა და ხიხვის ჯიშის ვენახები 83 ჰექტარ ფართობზე, ფაქტიურად გაშენებულია მხოლოდ მწვანე 19 ჰექტარზე. სიღნაღის რაიონმა მწვანე და საფერავის ჯიშის 44 ჰექტარი ვენახების ნაცვლად გააშენა მხოლოდ

რქაწითელი, ყვარლის რაიონმა 214 ჰექტარი საფერავის და მწვანის ნაცვლად გააშენა მხოლოდ საფერავი 17 ჰექტარზე.

ორჯონიკიძის რაიონს უნდა გაეშენებინა პინოსა და ალიგოტეს ჯიშის ვენახები 29 ჰექტარ ფართობზე, მაგრამ არც ერთი ჰექტარი არ გაუშენებია. ზესტაფონის რაიონს უნდა გაეშენებინა კრახუნას ჯიშის ვენახები 92 ჰექტარზე, გააშენა კი მხოლოდ 6 ჰექტარზე. ანალოგიური მდგომარეობაა თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, გორის, თერჯოლის, გეგეჭკორისა და ცაგერის რაიონებში.

უმეტეს რაიონებში საგრძნობლად დიდია ვენახების სიმეჩხერე. მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში მეჩხერი ვენახები შეადგენს 23 პროცენტს, კასპის რაიონში — 21, გორის რაიონში — 20, საგარეჯოს რაიონში — 16, ყვარლის რაიონში — 19, ზესტაფონის რაიონში — 28, ვანის რაიონში — 22 და აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში — 21 პროცენტს, განსაკუთრებით ძალზე მეჩხერია ახალგაზრდა ვენახებში, სადაც სიმეჩხრე ზოგიერთ ნაკვეთზე 40—45 პროცენტს აღწევს. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში სიმეჩხერე შეადგენს 16 პროცენტს, შრომისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობებში — 26, კარდანახის — 22, ვარციხის — 33, არგვეთის — 20 და წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში — 33 პროცენტს.

ზესტაფონის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ვანის, ამბროლაურის, ცაგერის, ბოლნისისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობათა ვენახებში მასობრივად თესენ სიმინდს, სოიას სამარცვლედ და სხვა სათოხნ კულტურებს, რითაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ ვენახებს.

ბოლნისის, გორის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, ორჯონიკიძის, ამბროლაურისა და სხვა რაიონების ვენახები სისტემატურად არ მუშავდება და ძლიერ არიან დასარევლიანებული, გურჯაანის, თელავის, ახმეტისა და საგარეჯოს რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ზაფხულის პერიოდის მანძილზე კულტივაციის ნაცვლად ატარებენ ხვნას 18—20 სანტიმეტრის სიღრმეზე, რაც იწვევს ნიადაგის გამოშრობას და მისი სტრუქტურის გაუარესებას.

მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უხეშად ირღვევა ვენახების მოვლის აგროტექნიკური წესები, რის შედეგადაც ნარგავები ძლიერ გამეჩხერებული და დასუსტებულია, ხოლო ზოგიერთ ნაკვეთზე ნარგავები დაიღუპა. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში 1961 წლის 1 იანვრისათვის ვენახების ფართობი უნდა ყოფილიყო 2208 ჰექ-

ტარი, ფაქტიურად კი არის მხოლოდ 1.521 ჰექტარი, სადაც 1953 წლიდან 1960 წლამდე დაიღუპა 687 ჰექტარი ვენახი.

სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1953 წლის 1 სექტემბრისათვის იყო 133 ჰექტარი ვენახი, 1954-დან 1960 წლამდე გაშენდა 68 ჰექტარი, სულ უნდა ყოფილიყო 201 ჰექტარი, ფაქტიურად არის მხოლოდ 139 ჰექტარი.

აგრეთვე უხეშად ირღვევა ვენახების მოვლის აგროტექნიკური წესები მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებშიც, რის შედეგად ვენახების სიმეჩხერემ საშუალოდ 30 პროცენტს მიაღწია; 1959—1961 წლებში გაშენებულ 160 ჰექტარის ნაცვალდ, ფაქტიურად დარჩა 104 ჰექტარი ვენახი. უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ვენახების მოსავლიანობა შემცირდა საშუალოდ 26 ცენტნერამდე ჰექტარზე. სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ირიცხება 74,5 ჰექტარი, ფაქტიურად კი არის 52 ჰექტარი; ფართობის აღნიშნული შემცირება ძირითადად მოხდა ახალი ვენახების დაღუპვის გამო; 1959—1960 წლებში გაშენებული 12,8 ჰექტარი ახალი ვენახებიდან დარჩა მხოლოდ 1,75 ჰექტარი. კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მკვეთრად მცირდება ყურძნის მოსავლიანობა. 1958 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებულია 32 ცენტნერი ყურძენი, 1959 წელს — 19, 1960 წელს — 14,6 ცენტნერი, ხოლო 1961 წელს — 11,6 ცენტნერი ყურძენი.

ყურძნის დაბალ მოსავალს ყოველწლიურად იღებენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებიც, მაგალითად:

მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 48 ჰექტარი ფართობის ერთ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 54 ცენტნერის ნაცვლად მიიღო 43 ცენტნერი და იზარალა 7,7 ათასი მანეთი, ხოლო 1961 წელს 54 ჰექტარ ფართობზე მიიღო 34,1 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა.

წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას 1958 წლიდან არ შეუსრულებია ყურძნის მოსავლიანობის გეგმა — 1958 წელს 563 ჰექტარი ფართობის ერთ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 33,4 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა და იზარალა 92,5 ათასი მანეთი. ამავე საბჭოთა მეურნეობამ 1959 წელს 583 ჰექტარი ფართობის ერთ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 24,3 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 54 ცენტნერისა და იზარალა 359,6 ათასი მანეთი, ხოლო 1961 წელს გეგმით გათვალისწინებული 41 ცენტნერის ნაცვლად მიიღო 30,8 ცენტნერი.

ვარციხის საბჭოთა მეურნეობამ 1960 წელს 29 ჰექტარი ფართობის ერთ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 28,3 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა და იზარალა 21,6 ათასი მანეთი, ხოლო 1961 წელს 17,1 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43 ცენტნერისა 84 ჰექტარ ფართობზე.

ამ წლებში ასეთივე დაბალი მოსავალი მიიღეს არგვეთის, მანავის, კარდანახისა და მევენახეობის ზოგიერთმა სხვა საბჭოთა მეურნეობამ.

სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საძირე ვაზის სადედეები და სანერგეები კოლმეურნეობებში, რის შედეგად საძირე ვაზის ლერწის გამოსავალი საშუალოდ ერთ ჰექტარზე არ აღემატება 15—18 ათას ცალს, ხოლო პირველი ხარისხის ნამყენი ვაზის ნერგი — 25—28 პროცენტს. უკანასკნელ წლებში ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში საძირე ვაზის სტანდარტული (110 სანტ. სიგრძის) ლერწის გამოსავალი ერთ ჰექტარზე შეადგენს 6 ათას ცალს, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში — 11 ათას ცალს, თერჯოლის — 9 ათას, მაიაკოვსკის — 9,7 ათას, ვანის — 8 ათას, ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებში 11 ათას ცალს.

დღემდე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საძირე ვაზის 900 ჰექტარი სადედეებიდან გადაყვანილია შპალერზე მხოლოდ 28 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში კი 565 ჰექტარიდან — 310 ჰექტარი.

ნამყენი ვაზის ლერწის შედარებით დაბალ გამოსავალს იღებენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები: 1957 წელს პირველი ხარისხის ნამყენი ლერწის გეგმით გათვალისწინებული 39 პროცენტი გამოსავლის ნაცვლად მიღებულია 22, 1958 წელს გეგმით გათვალისწინებული 40 პროცენტის ნაცვლად — 25, 1959 წელს გეგმით გათვალისწინებული 40,9 პროცენტის ნაცვლად — 29,4, ხოლო 1960 წელს გეგმით გათვალისწინებულ 40 პროცენტის ნაცვლად მიღებულია 37 პროცენტი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვს მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც 1958 წელს მიიღო 10 პროცენტი, 1959 წელს — 26 და 1960 წელს — 35 პროცენტი. ანალოგიური მდგომარეობაა წინანდლის, ნაფარეულისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

ადგილობრივი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ვერ აფასებენ მექანიზაციის როლს მევენახეობის შრომატევად სამუშაოთა განხორციელების საქმეში. ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, თერჯოლისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ნიადაგის დამუშავება, მავნებლებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, სასუქების შეტანა, ლერწის ამოღება ძირითადად ხელით წარმოებს.

საკმაო ყურადღება არ ექცევა ვენახების, სანერგეებისა და საძირე ვაზის სადედეების დაცვას სხვადასხვა მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან. მარტო „მილდიუთი“ დაავადებისაგან 1960—1961 წლებში ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, ორჯონიკიძისა და ამბროლაურის რაიონებში მოსავლიანობა 30—40 პროცენტით შემცირდა.

ვენახების შესხურებისა და შეფრქვევის ჩატარების დროს სრულიად არასაკმაოდ იყენებენ მძლავრ აპარატურასა და ავიაციას.,

საბჭოთა მეურნეობების ვენახებში საკმაო რაოდენობით არ შეაქვთ ორგანული სასუქი, 1960 წელს შეტანილი იყო სულ 24,240 ტონა 485 ჰექტარზე და 1961 წელს — 25000 ტონა 500 ჰექტარზე. რაც დაახლოებით შეადგენს მთელი ვენახების 6,2 პროცენტს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ტარდება შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები და ვენახების გაშენება. მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაშენებულია მხოლოდ 649 ჰექტარი ვენახი ნაცვლად 6.284 ჰექტარისა, ანუ გეგმის 10,5 პროცენტი.

ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაცია ჩაშლილია და უხეშად ირღვევა შრომის დისციპლინა. ალგეთის საბჭოთა მეურნეობაში 460 შრომისუნარიანი მუშიდან სრულიად არ მუშაობს 117 კაცი. ყულარის საბჭოთა მეურნეობაში 932 კაციდან მუშებად გაფორმებულია მხოლოდ 327 კაცი, რომელთაგან სისტემატურად გამოდის სამუშაოდ მხოლოდ 175 კაცი. ანალოგიური მდგომარეობაა არგვეთისა და მარნეულის საბჭოთა მეურნეობებშიც.

მევენახეობაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი წარმოადგენენ პარტიის რაიკომებისა და რაიაღმასკომების მხრივ სუსტი, ზერელე ხელმძღვანელობის შედეგს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს:

ა) უზრუნველყონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ახალი ვენახების გაშენების გეგმების შესრულება. განუმარტონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ ვენახების გაშენების გეგმა შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული სორტიმენტის თანახმად;

ბ) რადიკალურად გააუმჯობესონ საძირე ვაზის სადედეებისა და სანერგეების მოვლა, რათა მიღებულ იქნას ყოველ ჰექტარზე სტანდარტული (110 სანტ. სიგრძის) საძირე ვაზის ლერწი საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ 40 ათასი ცალი, კოლმეურნეობებში კი — 25 ათასი ცალი, ხოლო პირველი ხარისხის ნამყენი ლერწის გამოსავალი — არა ნაკლებ 40 პროცენტისა.

1962 წელს დამთავრდეს ყველა მეურნეობაში საძირე ვაზის სადედეების გადაყვანა მავთულის შპალერზე.

გ) 1962—1963 წლებში დაამთავრონ მეჩხერი ვენახების რემონტი, რისთვისაც დააწესონ რემონტის გეგმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, №№ 1—2 დანართების თანახმად.

განუმარტონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ ახალგაზრდა ვენახებში დანაკლისი ბუჩქების შევსება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს დარგვის პირველი წლის დამლევს;

დ) უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ვენახების მოვლის აგროტექნიკური წესების კომპლექსის განუხრელად განხორციელება და მკაცრი კონტროლი გაუწიონ მთელი სამუშაოების ხარისხიანად და დროულად შესრულებას;

ე) ფართოდ გამოიყენონ ვენახების მორწყვა შემოდგომისა და ზამთრის პერიოდებში, აგრეთვე ადრე გაზაფხულზე მდინარისა და ხევების წყლებით;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ვაზის მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ღონისძიების დროულად და გულმოდგინედ გატარებას. მოაწყონ მძლავრი აპარატურის, აგრეთვე თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების ფართოდ გამოყენება;

ზ) ურჩიონ კოლმეურნეობებს ფართოდ გამოიყენონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციები კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შესახებ.

2. დაევალოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულ სამმართველოს უზრუნველყოს 1962 წლიდან საბჭოთა მეურნეობების დირექციებისა და კოლმეურნეობათა გამგე-

ობების განაცხადებით ვენახების შეფრქვევა თვითმფრინავებით, აგრეთვე შესხურება ბორდოს სითხით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველომ და რაიაღმასკომებმა უზრუნველყონ ხელმძღვანელობა ვენახების წამლობის ჩასატარებლად სათანადო ავიამოედნებისა და დანადგარების მოწყობის დროს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაამზადოს 1962 წელს სულ ცოტა 1,5 მილიონი ცალი რკინაბეტონის ბოძი ვენახებისათვის, ხოლო 1963 წლიდან — არა ნაკლებ 3 მილიონი ცალისა ყოველწლიურად.

რკინაბეტონის ბოძები დაამზადოს ორი ზომისა — 2 და 2,5 მეტრი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათი ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) ორი თვის ვადაში განსაზღვროს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განაცხადებით საერთო მოთხოვნილება ტრაქტორებზე, მისაბმელ მანქანებსა და იარაღებზე, ვაზის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო მძლავრ აპარატურაზე, აგრეთვე წვრილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე (მორები, თოხები, სეკატორები, სამყნობი დანები, ჩანთიანი შემფრქვევები და შემსხურებლები და სხვ.) და უზრუნველყონ მათი შეტანა რაიონებში 1962 წლის სეზონისათვის;

ბ) მოაწყოს რკინაბეტონის ბოძების წარმოება ვენახებისათვის 1962 წლიდან არა ნაკლებ ერთი მილიონი ცალისა ყოველწლიურად, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ხაზით.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს:

ა) ჩაატარონ ვენახების დამულჩვისა და სიდერატების თესვის საწარმოო გამოცდა შემდგომი ჩახვნით ნიადაგში აღმოსავლეთ საქართველოს 2—3 მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში;

ბ) მოაწყონ ზამთრის პერიოდის განმავლობაში საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებთან, მსხვილ საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან ვაზის მსხვილელთა და მყნობელთა მოკლევადიანი კურსები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) 1962 წლიდან გაითვალისწინონ ვაზის აპრობაციისა და მასობრივი სელექციის ჩატარება 4.000 ჰექტარზე, მათ შორის კოლმეურნეობებში 3.000 ჰექტარზე და საბჭოთა მეურნეობებში — 1000 ჰექტარზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს ძირითადი მევენახეობის რაიონების კოლმეურნეობებს 1962 წლის პირველი და მეორე კვარტალებისათვის 5 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ყოველწლიურად შეიტანოს ვენახებში ორგანული სასუქი ვენახების მთელი ფართობის არა ნაკლებ 25 პროცენტზე და შეიტანოს 1962 წელს 70 ათასი ცალი ხის ბოძი და 300 ათასი ცალი სარი.

8. იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას ვენახები ძლიერი ქარების მავნე მოქმედებისაგან, საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველომ მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტთან ერთად შეისწავლოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ქარსაცავი ზოლების რეკონსტრუქციისათვის სამგორის, ლილოსა და ვერკეთილის საბჭოთა მეურნეობებში.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი 1962 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ვენახის ნარგავების პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ.

10. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ რესპუბლიკას 1962 წლის პირველი ნახევრისათვის 2 ათასი ტონა შაბიამანი.

11. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს შეისწავლონ და განიხილონ პლენუმებზე რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახებისა და საძირე ვაზის სადედეების მდგომარეობა. დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ვენახების მოვლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას თვითეული საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის მიხედვით.

12. ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის ჩაშლისათვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ა. დ. ტაბატა-

ძე მოიხსნას სამუშაოდან და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით.

13. ვენახების მოვლისადმი უყაირათო დამოკიდებულებისა და 62 ჰექტარი ნარგავების დაღუპვის დაშვებისათვის ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. პ. ბრეგვაძეს და ამავე კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. შ. მ. წაქაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით.

საქართველოს კპ	საქართველოს სსრ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი	მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 1 დეკემბერი, № 730.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 დეკემბრის № 730 დადგენილების დანართი № 1

გ ე გ მ ა

ვენახების რემონტისა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1962—1963 წლებისათვის

(ათას ცალობით)

რაიონები	1962 წელი		1963 წელი	
	ნერგის ჩარგვა ახალგაშენდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწყვეტილია ვენახებში 3 წლის ასაკს ზევით	ნერგის ჩარგვა ახალგაშენდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწყვეტილია ვენახებში 3 წლის ასაკს ზევით
1. აფხაზეთის ასსრ	90	200	95	225
2. აჭარის ასსრ	68	180	80	200
3. ცხაკაიას	8	30	12	35
4. გეგეჭკორის	10	75	18	85
5. ზუგდიდის	18	80	20	90
6. წალენჯიხის	8	15	15	25
7. ჩხოროწყუს	8	15	12	20
8. ლანჩხუთის	3	12	4	20
9. ჩოხატაურის	15	35	20	40
10. წყალტუბოს	15	60	18	70
11. სამტრედიის	2	40	3	50
12. წულუკიძის	2	40	3	50
13. ვანის	40	170	50	190
14. მაიაკოვსკის	60	125	65	135
15. ზესტაფონის	80	180	90	200
16. თერჯოლის	50	100	70	120
17. ჭიათურის	10	40	16	50
18. საჩხერის	40	150	48	170
19. ორჯონიკიძის	30	140	36	160
20. ტყიბულის	4	20	5	30
21. ონის	6	18	7	25
22. ამბროლაურის	25	80	30	100
23. ცაგერის	30	40	40	50
24. სამხრეთ ოსეთის ა/ო	35	140	45	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	1962 წელი		1963 წელი	
	ნერგის ჩარგვა ამავლგაზრდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწიდნეა ვენახებში 3 წლის ასაკს ხევით	ნერგის ჩარგვა ამავლგაზრდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწიდნეა ვენახებში 3 წლის ასაკს ხევით
25. ასპინძის	—	5	—	10
26. ხაშურის	40	40	50	50
27. ქარელის	8	40	12	50
28. გორის	70	220	80	300
29. კასპის	20	50	30	60
30. ღუშეთის	2	40	3	50
31. თეთრიწყაროს	12	50	20	70
32. გურჯაანის	180	800	200	900
33. სიღნაღის	80	500	90	600
34. წითელწყაროს	200	150	220	160
35. თელავის	130	600	180	700
36. ახმეტის	70	80	80	90
37. ყვარლის	120	200	130	210
38. ლაგოდეხის	15	50	25	60
40. მარნეულის	16	40	20	60
40. მცხეთის	40	80	50	100
41. ბოლნისის	25	170	30	220
42. საგარეჯოს	25	10	30	10
სულ რესპუბლიკაში	1710	5110	2052	6000

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 დეკემბრის № 730 დადგენილების დანართი № 2

ბ ე ჭ მ ა

ვენახების რემონტისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში 1962—1963 წლებისათვის

(ათას ცალობით)

საბჭოთა მეურნეობების დასახელება	1962 წელი		1963 წელი	
	ნერგის ჩარგვა ახალგაზრდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწიდნა ვენახებში 3 წლის ასაკს ზევით	ნერგის ჩარგვა ახალგაზრდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწიდნა ვენახებში 3 წლის ასაკს ზევით
1. ნაფარეულის	40	79	48,5	100,0
2. კისისხევის	15	100	15,5	103,5
3. წინანდლის	—	200	—	220,0
4. ახმეტის	50	5	75,0	6,0
5. შრომის	50	80	60,8	97,2
6. მუკუზნის	150	150	197,5	211,7
7. კარდენახის	—	170	—	228,5
8. ყვარლის	50	60	51,0	82,7
9. ხირსის	—	45	—	52,7
10. მანავის	100	70	106,0	93,6
11. ლილოს	40	—	51,5	—
12. ვარკეთილის	60	—	78,5	—
13. სამგორის	—	80	—	81,0
14. აღგეთის	15	16	18,9	16,7
15. ყულარის	2	30	3,7	34,6
16. აღაიანის	35	7	42,0	7,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობების დასახელება	1962 წელი		1963 წელი	
	ნეგოგის ჩარგვა ანალგაზრდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწიდნეგა ვენახებში 3 წლის ასაკს ზევით	ნეგოგის ჩარგვა ანალგაზრდა ვენახებში 3 წლის ასაკამდე	გადაწიდნეგა ვენახებში 3 წლის ასაკს ზევით
17. ოკამის	35	7	42,0	8,0
18. ალის	15	—	18,0	—
19. საჩხერის	24	—	24,0	—
20. არგვეთის	10	50	12,8	72,0
21. როდინაურის	4	20	5,0	21,0
22. ვარციხის	8	50	9,0	65,0
23. ვაზისუბნის	—	4	—	4,6
ს უ ლ	703	1223	853,8	1505,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

107 **საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო გამგებლობაში გადაცემის შესახებ**

იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა უმთავრესად წარიმართოს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების განზოგადებისა და ფართო პროპაგანდისათვის, უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადებისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 აგვისტოს № 818 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო გამგებლობაში, დანართის თანახმად.

ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობიდან გადაეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების გადაცემასთან დაკავშირებით, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემდგომი არსებობა და გაუქმდეს იგი.

დაევალოს კომისიას ამხ. პ. კოვანოვის, დ. სტურუას, მ. კუჭავას, შ. ჭანუყვაძის, ბ. იაკობაშვილის, ნ. მუსხელიშვილის, მ. საბაშვილის, რ. დვალის და ს. დურმიშიძის შემადგენლობით მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებუ-

ლია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებასთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში განყოფილების მოწყობასთან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 28 ნოემბერი, № 743.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 743 დადგენილების დანართი

ს ი ა

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა, რომლებიც გადაცემულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო გამგებლობაში

1. საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.
2. საქართველოს მეცნიერებათა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.
3. საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
4. საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.
6. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.
7. სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების საცდელი სადგური.
8. მეფუტკრეობის საცდელი სადგური.

108 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება წარმოადგენს სახალხო განათლების წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების შემოღებასთან, სკოლა-ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოწყობასთან, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) სკოლების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება მასწავლებელთა და აღმზრდელთა კადრებზე.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სკოლების დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური კადრებით, მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდას და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას, არ იბრძვიან მასწავლებელთა კადრების დენადობის თავიდან აცილებისათვის, არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას მასწავლებლებისათვის, არ უქმნიან მათ, განსაკუთრებით სოფლად, საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს, არ იღებენ ქმედითს ზომებს იმისათვის, რომ შესრულდეს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი სოფლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ. მასწავლებელთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი 300 ათასი მანეთიდან მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში ათვისებულია მხოლოდ 174.100 მანეთი. ამ საქმეში საგრძნობლად ჩამორჩებიან ახალქალაქის, მარნეულისა და ცაგერის რაიონები, ხოლო კასპის, ლაგოდეხისა და ლენტეხის რაიონებში მშენებლობას არც კი შედგომიან.

პედაგოგიური სასწავლებლების ზოგიერთი კურსდამთავრებული არ ცხადდება დანიშნულების ადგილზე. არ არის მიღებული საჭირო ზომები იმისათვის, რომ გადიდდეს სოფლის ახალგაზრდობის მიღება პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში. სუსტია აღნიშნული ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებათა სასწავლო-მატერიალური ბაზა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით დროულად უზრუნველყოფისა და მასწავლებელთა შრომის და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით,

შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 აგვისტოს № 817 დადგენილებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის ზომების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) აღმოფხვრან პედაგოგიური კადრების დაგეგმვისა და მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, გაითვალისწინონ წლიური და პერსპექტიული გეგმებით სტუდენტთა მიღება პედაგოგიური ინსტიტუტების დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე იმის შესაბამისად, თუ რამდენი მასწავლებელი და აღმზრდელი სჭირდებათ სკოლებს 1966—1970 წლებისათვის, უზრუნველყონ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზის განმტკიცება, ამ ინსტიტუტების სტუდენტთა კონტინგენტის გადიდების გათვალისწინებით;

ბ) პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების მიზნით, ორი თვის ვადაში გადასინჯონ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების პროფილები და სასწავლო გეგმები; ამასთან გაითვალისწინონ მომავალი მასწავლებლების კვირეული დატვირთვის ნორმალიზაცია.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) გააუმჯობესოს პედაგოგიური ინსტიტუტების ხელმძღვანელობა, სრულყოს მომავალი მასწავლებლებისა და მასწავლებელ-აღმზრდელთა პედაგოგიური ოსტატობა, მათი მომზადება მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად, გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტებთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ გამოიმუშაოს მათში მოვალეობის გრძნობა, სახელმწიფო დისციპლინა და მზადყოფნა სასწავლებლების დამთავრების შემდეგ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის;

ბ) მასწავლებელთა ადგილობრივი კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის ახალგაზრდობის მოზიდვას პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი და საღამოს განყოფილებები მაღალკვალიფიციური კადრებით, შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზით, სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურით. შეუქმნას სტუდენტებს მეცადინეობისათვის ნორმალური პირობები.

დ) უფრო ფართოდ ჩააბას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პედაგოგიური ინსტიტუტები მუშაობაში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათთვის მეთოდური დახმარების გაწევისათვის.

პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებული პირები მიღებულ იქნან სახალხო განათლების ორგანოების მიმართვით პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებათა პირველ კურსებზე კონკურსგარეშე.

4. მასწავლებლები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სკოლაში და არა აქვთ უმაღლესი სპეციალური განათლება, მიღებულ იქნან პედაგოგიური ინსტიტუტების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებათა შესაბამის ფაკულტეტებზე 1962—1965 წლებში კონკურსგარეშე.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს სკოლების დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური კადრებით; არ დაუშვას მასწავლებლების დანიშვნა მცირე რაოდენობის საათებზე. მასწავლებლების დანიშვნა სამუშაოზე არასრული სასწავლო დატვირთვით ყოველ ცალკე შემთხვევაში მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის განათლების განყოფილების თანხმობით;

ბ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობისადმი, შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაუმჯობესებისათვის (სასწავლო გეგმების სრულყოფა, სწავლების ვადის გაგრძელება კურსებზე ზოგიერთი სპეციალობის მიხედვით, მასწავლებელთა უზრუნველყოფა პედაგოგიური ლიტერატურით და ა. შ.).

6. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააძლიერონ ყურადღება მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ზრდისა და მათი კულტურის და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ;

მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები, რათა უცილობლივ შესრულდეს მთავრობის დადგენილებანი მასწავლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ყველა ახლად შენდებად სასოფლო სკოლასთან როგორც სახელმწიფო ასიგნობათა და სხვა წყაროების, ისე ამ საქმეში კოლმეურნეობათა მონაწილეობის ხარჯზედაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათთვის მთავრობის მიერ მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი.

საქართველოს კპ	საქართველოს სსრ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი	მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
პ. კოვანოვი.	გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წ. 13 დეკემბერი, № 757

109 სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, წყალთა მეურნეობის მშენებლობაში მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის სარწყავი მიწის ფონდი. სარწყავი ფართობი ამჟამად 346 ათას ჰექტარს შეადგენს.

ამ მიწებზე, თუ ისინი სწორად იქნება გამოყენებული, ამინდის პირობების მიუხედავად, შეიძლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღება.

ძლიერი გვალვის მიუხედავად, სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენების შედეგად რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში, კერძოდ, გორის, კასპის და ყვარლის რაიონებში მიღებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ცალკეულ სარწყავ რაიონებში — სამგორის, სიღნაღის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში სარწყავი წყლის არარაციონალურად, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში — არადამაკმაყოფილებლად გამოყენების გამო, არ ყოფილა უზრუნველყოფილი კარგი მოსავლის მიღება.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია სარწყავი მიწების მოსარწყავად მომზადების საქმე, არ ტარდება მიწების აგეგმვა, არა თავის დროზე და დაბალ დონეზე წარმოებს დროებითი სარწყავი ქსელის დაკვალვა, ხშირად ირღვევა კულტურების მორწყვის ვადები და ნორმები, კვლებსა და ზოლებში რწყვა ხორციელდება მხოლოდ სარწყავი მიწების მცირე ნაწილზე.

მრწყველთა გამომუშავებისა და შრომის ანაზღაურების ნორმა წესდება თვითნებურად, სარწყავად გამოყენებული ტექნიკის, რელიეფის და კულტურათა სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. ყველა მრეწველი როდია უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარითა და სპეცტანსაცმლით. ცუდ მდგომარეობაშია მრწყველთა კადრების და სხვა სპეციალისტების მომზადება სარწყავი მიწათმოქმედებისათვის.

იმის გამო, რომ მეურნეობაში არ მოიპოვებიან წყალსარგებლობის გეგმების შედგენის საქმის მცოდნე სპეციალისტები, აღნიშნულ გეგმებს ძირითადად ადგენენ წყალთა მეურნეობის ორგანოები ხშირად ისე, რომ ეს უკავშირდება აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების ვადებს.

შიგასამეურნეო სარწყავი ქსელის სათანადოდ მოვლის უქონლობა მნიშვნელოვნად ამცირებს სარწყავი წყლის გამოყენების ეფექტურობას და ხშირად აუარესებს სარწყავი მიწების სამელიორაციო მდგომარეობას.

დღემდე არ მოიპოვება პოპულარული ლიტერატურა რწყვის საკითხებზე, არ არის შემუშავებული ინსტრუქცია რწყვის ტექნიკისა და რწყვისათვის მიწების მომზადების შესახებ.

სარწყავი მიწების არამწარმოებლურად გამოყენების, აგრეთვე სარწყავი წყლის არარაციონალურად ხარჯვის ერთერთ ყველაზე სერიოზულ მიზეზს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ამ საკითხებს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

სარწყავი მიწების გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მეურნეობებში რაციონალური წყალსარგებლობისა და რწყვის გეგმიანი რეჟიმის განხორციელების მიზნით, საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განიხილონ სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებისა და 1962 წლის რწყვის სეზონისათვის სარწყავი სისტემების და სარწყავი მიწების მომზადების საკითხები;

ბ) უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ სარწყავი მიწების დროულად და გულმოდგინედ მომზადებას რწყვისათვის და სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის მაღალხარისხოვნად ჩატარებას, შემოიღონ შემოდგომა-ზამთრის რწყვის აუცილებლად გატარება განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებსაც რწყვის მცირეწყლიანი წყაროები აქვთ, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების სადღეღამისო რწყვა;

გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის დაწყებამდე შეადგინონ თვითეულ მეურნეობაში მემინდვრე აგრონომების ხელმძღვანელობით შიგასამეურნეო წყალსარგებლობის გეგმები;

დ) გამოყონ თვითეულ მეურნეობაში წყალსარგებლობის საქმის დაყენებისა და შიგასამეურნეო ქსელის ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი კვალიფიციური მუშაკები, აგრეთვე მრწყველთა ბრიგადა საჭირო რაოდენობით, ამასთან მოამარაგონ სპეცტანსაცმლით და საჭირო ინვენტარით რწყვის ჩასატარებლად;

ე) მოაწყონ 1962 წლის 15—20 თებერვლიდან მრწყველთა მოსამზადებელი სამეურნეობათაშორისო ორკვირიანი კურსები (სოფლის და წყალთა მეურნეობის სპეციალისტთა მონაწილეობით), საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით;

ვ) მკაცრი კონტროლი გაუწიონ წყალსარგებლობის გეგმების განხორციელებას, რწყვის ტექნიკის დაცვას და პერიოდულად განიხილონ რაიკომის ბიუროს ან რაიაღმასკომების სხდომებზე რწყვის მიმდინარეობის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) დანერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი

ინსტიტუტის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და აპრობირებული რწყვის წესები და ტექნიკა, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ ნიადაგის ეროზიას და მიწის მასივების დაჭაობიანებას;

ბ) მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა მოეწყოს სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენება და შემოღებულ იქნას საჩვენებელი რწყვა საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებში;

გ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა მონაწილეობით, მრწყველთა გამომუშავებისა და შრომის ანაზღაურების ნორმები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის სპეციფიკის, სარწყავი მიწების რელიეფური და ნიადაგობრივი პირობების გათვალისწინებით მრწყველთა მატერიალური დაინტერესებისათვის;

დ) მოაწყოს 1962 წლის 10 იანვრიდან მუხრანის სასწავლო-საჩვენებელ მეურნეობაში, კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობასა და მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში საქართველოს სარწყავი რაიონების საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მემინდვრე აგრონომების გადასამზადებელი ერთთვიანი კურსები წყალსარგებლობის შიგასამეურნეო გეგმების შედგენისა და განხორციელების, რწყვის ტექნიკისა და სარწყავი მიწების სარწყავად მომზადების საკითხებზე, დანართის თანახმად;

ე) შეადგინოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა მონაწილეობით და რწყვის სეზონის დაწყებამდე გამოსცეს ინსტრუქცია რწყვის ტექნიკისა და სარწყავი მიწების სარწყავად მომზადების შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს სარწყავი წყლის რეგულარულად მიწოდება მეურნეობებისათვის, წყალსარგებლობის შიგასამეურნეო გეგმების შესაბამისად;

ბ) მკაცრი კონტროლი გაუწიოს მორწყული ფართობების გამოსავლიანობას და სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებას;

გ) პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რწყვის ჩატარების დროს და სისტემატური ინსტრუქტაჟი გაუწიოს მეურნეობების მიერ გამოყოფილ მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გეგმური წყალსარგებლობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სისტემატურად იმუშაოს სამეურნეობათაშორისო სარწყავი ქსელის და მისი ექსპლუატაციის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე.

4. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) გადასინჯოს სამანქანო-სამელიორაციო და სამანქანო-სარემონტო სადგურების სამუშაოთა გეგმები იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მათი მონაწილეობა მეურნეობებში სარწყავი მიწების სამელიორაციო მდგომარეობის გაუმჯობესების და მინდვრების სარწყავად მომზადების საქმეში;

ბ) სამი თვის ვადაში მოამზადოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დამზადდეს და შემოზიდულ იქნას 1962 — 1965 წლებში მეურნეობათა განაცხადებით სამელიორაციო ტექნიკა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სარწყავი მიწების საირიგაციო ათვისებისა და სარწყავად მომზადებისათვის (მგეგმავები, თხრილსათხრელები, ზოლსაკეთებლები, საკვალავები და სხვ.).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 25 დეკემბერი, № 778

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 დეკემბრის № 778 დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მემინდვრე აგრონომების გადასამზადებელი ერთთვიანი კურსების მოწყობისა

რაიონები	გაიგზავნება კოლმეურნეობებიდან (კაცი)	გაიგზავნება საბჭოთა მეურნეობებიდან (კაცი)	კურსების მოწყობის ადგილი
1 ჯ გ უ ფ ი			
1. ახალქალაქის	5	2	კრწანისის სასწავლო ექსპერიმენტული მეურნეობა
2. ახალციხის	5	2	
3. სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის	5	—	
4. მარნეულის	13	2	
5. ბოლნისის	4	—	
6. სამგორის	10	2	
სულ:	42	8	
2 ჯ გ უ ფ ი			
1. ხაშურის	3	1	მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა
2. ქარელის	7	2	
3. გორის	18	3	
4. კასპის	10	2	
5. მცხეთის	3	1	
სულ:	41	9	
3 ჯ გ უ ფ ი			
1. საგარეჯოს	10	2	გურჯაანი
2. სიღნაღის	14	3	
3. თელავის	3	2	
4. ახმეტის	3	—	
5. ყვარლის	3	—	
6. ლაგოდეხის	5	—	
7. გურჯაანის	10	—	
სულ:	48	7	

ეროვნული ბიბლიოთეკა

110 იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი

მშენებელთა მუდმივი კადრების შენარჩუნებისა და შექმნის მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. გათავისუფლებულ იქნან, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები იმისაგან, რომ გადასცენ 1962 წელს ადგილობრივ საბჭოებს საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი იმ სახლებში, რომლებიც მათ ააშენეს თავიანთი მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის.

2. დაევალოთ შემკვეთებს გადასცენ 1962 წელს საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს ქალაქ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ზესტაფონში, ცხინვალში, რუსთავში, ჭიათურაში, ტყვარჩელში, ტყიბულში, ფოთში, გაგრაში, გორში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტს ქ. თბილისში მშენებელთა ჩასასახლებლად საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი, ხოლო მთავართბილმშენს — 5 პროცენტი იმ სახლებში, რომლებიც საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებმა ააშენეს, გარდა საცხოვრებელი ფართობისა სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების და სახელოსნო სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში, აგრეთვე სახაზო საექსპლუატაციო პერსონალის სახლებში.

3. დაევალოთ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობის განაწილება შესათანხმებლად და დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების შესაბამის აღმასკომებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
პ. კოვანოვი.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 28 დეკემბერი, № 787

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

111 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 სექტემბრის № 820 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 801 დადგენილების გაუქმების შესახებ**

იმის გამო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1961 წლის 7 სექტემბერს მიიღო დადგენილება № 820 „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივნისის № 687 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 სექტემბრის № 820 დადგენილებით დაწესებულია, რომ საპროექტო ორგანიზაციების იმ მუშაკთა დაჯილდოება, რომლებიც მშენებლობის საავტორო ზედამხედველობას ახორციელებენ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 1 მარტის № 630 დადგენილების შესაბამისად წარმოებს იმ სახსრების ხარჯზე, რაც განკუთვნილია საპროექტო ორგანიზაციების იმ მუშაკთათვის პრემიების მისაცემად, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივნისის № 687 დადგენილების მე-15 მუხლით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 801 დადგენილება „საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 17 ნოემბერი, № 704

112 საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით სარგებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 16 აგვისტოს № 513 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის საძოვრებით სარგებლობაში მოხდეს შემდეგი ცვლილებები:

1. გადაეცეს სამგორის მეცხოველეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობას საზაფხულო საძოვრები 8.737 ჰექტარის რაოდენობით, აქედან:

ბორჯომის რაიონში (ქცია-ნარიანი) 2.737 ჰექტარი, მათ შორის:

ხაშურის რაიონის	კოლმეურნეობების	404 ჰექტარი
ქარელის	„ „	318 „
გორის	„ „	431 „
კასპის	„ „	584 „
ბორჯომის	„ „	1000 „

ახალქალაქის რაიონში (ქაჩალგორა) 6.000 ჰექტარი, მათ შორის:

ზოოვეტინსტიტუტის კრწანისის სასწავლო მეურნეობის — 800 ჰექტ.

ყოფილ ელდარის საბჭოთა მეურნეობის — 5.200 „

საგარეჯოს რაიონში საზამთრო საძოვრები (უდაბნო) 1334 ჰექტარი

აქედან:

ტაბახმელის ბიოკომბინატის	534 „
№ 31 ქარხნის	545 „
სამგორის სატყეო მეურნეობის (სოფ. ლისის ყოფილი კოლმეურნეობა)	255 „

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს გაუდიდოს სამგორის მეცხოველეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობას საზამთრო საძოვრების ფართობი იმ საბჭოთა მეურნეობის სარგებლობის ხარჯზე, რომლებიც ამ მეურნეობას ესაზღვრებიან „უდაბნოში“.

3. გადაეცეს ალვანის მეცხვარეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობას ახმეტის რაიონში (მთათუშეთი) 10606 ჰექტარი საზაფხულო საძოვარი, მათ შორის:

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობების	5.744	ჰექტარი
სიღნაღის „ „	3.000	„
საგარეჯოს „ „	1.862	„

4. გადაეცეს სამაგიეროდ შესაბამისი საძოვარი ფართობები:

ა) წითელწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობებს — დუშეთის რაიონის სახელმწიფო მიწის ფონდის საძოვრებიდან (შატილის მასივი). გადაცემა მოხდეს ამ საძოვრებზე მისასვლელი გზების მშენებლობის დამთავრების შემდეგ;

ბ) ქარელის, გორისა და კასპის რაიონების კოლმეურნეობებს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების საზაფხულო საძოვრებიდან;

გ) ზოოვეტინსტიტუტის კრწანისის სასწავლო მეურნეობას — წალკის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან.

5. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით მოახდინოს ქარელის, გორისა და კასპის რაიონების კოლმეურნეობებისათვის სათანადო საძოვარი ფართობების გამოყოფა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს გაითვალისწინოს დუშეთის რაიონის საძოვარ-შატილის მასივზე მისასვლელი გზის მშენებლობის დამთავრება 1962 წელს.

7. ჩამოერთვათ საზამთრო საძოვრები მარნეულის რაიონში (იაღლუჯა) წალკის რაიონის კოლმეურნეობებს 640 ჰექტარი და დმანისის რაიონის კოლმეურნეობებს 1.944 ჰექტარი, როგორც სტაციონარული მეცხვარეობის რაიონებს, და გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, იმ საბჭოთა მეურნეობებზე გადასაცემად, რომლებიც მომთაბარე მეცხვარეობას ეწევიან.

8. როგორც წესი, აეკრძალოთ სტაციონარული მეცხვარეობის რაიონებს ცხვრის შენახვა საზამთრო საძოვრებზე.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს შეისწავლონ ოლქის საზაფხულო საძოვრებით უზრუნველყოფა და გამოვლინებული ზედმეტი საძოვრები გადარიცხონ სახელმწიფო ფონდში, საძოვრების მცირე ფართობის მქონე რაიონებზე გადასაცემად.

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საგარეჯოს, თეთრიწყაროსა და წითელწყაროს რაიონებთან ერთად შეის-

წავლოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროექტი პირუტყვის გამოსაკვები მოედნების „ჩამძვრალ-დემურ-დაღის“, „ბედენის“ და „მირზაანნავთობის“ ფართობების გადიდების შესახებ.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უშიშროების კომიტეტმა მიმდინარე წლის მსგავსად, შემდგომშიც დაუშვას სასაზღვრო აკრძალულ ზონაში განლაგებული საზაფხულო საძოვრების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ გამოყენების პრაქტიკა.

12. დაეგალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეისწავლოს ცალკეულ რაიონებში საძოვარი მიწების გაქირავების ფაქტები და ასეთის გამოვლინების შემთხვევაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ საძოვრების სხვა მეურნეობებზე გადაცემის პროექტი.

13. აეკრძალოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათზე მიმაგრებული საძოვარი მიწების გაქირავება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 15 დეკემბერი, № 750

113 საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 15 დეკემბერი, № 753

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 753 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრო შექმნილია იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სახელმწიფო შესყიდვის საქმე, გაძლიერდეს კონტროლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულებისადმი და ხელმძღვანელობა გაეწიოს მარცვლის მიღების, შენახვისა და გადამუშავების საწარმოების საწარმოო-საფინანსო საქმიანობას და პურფურაჟის მომარაგებას.

საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრო არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს იმ საკითხებზე, რომლებიც კომიტეტის კომპეტენციაში შედის.

2. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ა) კონტროლი გაუწიოს იმას, რომ შეასრულოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის საკითხებზე ყველა ორგანიზაციამ და უწყებამ, რომლებიც ახორციელებენ ამ პროდუქტების შესყიდვასა და მიღებას, და იმას, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა დაიცვან სახელმწიფო დისციპლინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისა და შესყიდვის მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკაში;

ბ) კონტროლი გაუწიოს მარცვლის სიმინდის ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის, ჩაის ფოთლის, ახალი კურკოვანი, თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, თამბაქოს, ზეთოვანი კულტურების თესლის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულებას;

გ) კონტროლი გაუწიოს საერთო-საკავშირო ფონდში დაწესებული ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადარიცხვისა და მიწოდების დავალებათა შესრულებას;

დ) ცენტრალიზებულად გამოიყენოს სახელმწიფო პურის რესურსები, დააგროვოს პურისა და თივის სახელმწიფო რეზერვი, აგრეთვე უზრუნველყოს მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების სახელმწიფო რესურსების მოვლა-შენახვა;

ე) მოაწყოს და განახორციელოს იმისადმი კონტროლი, რომ იმ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც მიღებას ეწევიან, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სწორად მიიღონ და განსაზღვრონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან შემოსული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხი და წონა, სწორად და დროულად გაუსწორონ ანგარიში მათ მიყიდული პროდუქტებისათვის, იმისადმი კონტროლი, რომ დაცულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების შენახვის დაწესებული პირობები;

ვ) ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის უშუალო კავშირურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა საფუძველზე, მრეწველობასთან, რომელიც ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავებას, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციებთან;

ზ) შეისწავლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები იმ მიზნით, რომ შემოწმდეს კოლმეურნობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვებისა და საწარმოო შესაძლებლობათა გამოყენება სასოფლო-სამეურუნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის დაწესებული გეგმების შესასრულებლად; საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით სახელმწიფო შესყიდვის მეშვეობით მოახდინოს გავლენა სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განვითარებაზე;

თ) შეიმუშაოს და დამზადებათა კომიტეტს წარუდგინოს წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ;

ი) მოაწყოს საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის და სიმინდის დამმუშავებელი საწარმოების მუშაობა.

3. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) მოაწყობს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვას, განახორციელებს იმისადმი კონტრულს, რომ დროზე დაიდოს და შესრულდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუ-

ქტების კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი და ყოველწლიურად დაზუსტდეს ეს ხელშეკრულებანი დადგენილი წესით;

ბ) მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის ჩატარების პირობების შემუშავებაში.

გ) მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების და მათი წარმოების შეჯამებითი გეგმების პროექტების განხილვაში და შეიმუშავებს რესპუბლიკაში ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების წარმოების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების პროექტებს;

დ) უზრუნველყოფს მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურებისა და სიმინდის ჯიშიანი თესლის, თივისა და ბალახთა თესლის შესყიდვას, მიღებას, დაბინავებას, დამუშავებასა და შენახვას, საფქვავი, ბურღულის და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოების მიერ მარცვლის გადამუშავებას რესპუბლიკაში სახელმწიფო გეგმების შესაბამისად და განახორციელებს კონტროლს ამ გეგმების შესრულებისადმი;

ე) მოაწყობს პურის პროდუქტების გადაზიდვას წარმოების რაიონებიდან მოხმარების რაიონებში რესპუბლიკის შიგნით და უზრუნველყოფს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის იმ დავალებათა შესრულებას, რომლებიც შეეხება მარცვლის, მისი გადამუშავების პროდუქტების, თივის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, სიმინდის ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლისა და ბალახთა თესლის სარესპუბლიკათაშორისო გადაზიდვას, აგრეთვე პურისა და თივის შენახვას სახელმწიფო რეზერვში;

უზრუნველყოფს, რომ მიეცეთ მომხმარებლებს სახელმწიფო ცენტრალიზებული რესურსებიდან მარცვალი, ფქვილი და ბურღული, ზეთოვანი კულტურების თესლი და თივა იმ ოდენობით და იმ ვადებში, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ, და განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ სწორად წარმოებდეს პურის პროდუქტების ხარჯვა გამოყოფილი ფონდებით;

ვ) უზრუნველყოფს მოცემული ნომენკლატურისა და დაწესებული ასორტიმენტის ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების გამომუშავების სახელმწიფო გეგმის შესრულებას, საწარმოთა მუშაობის რიტმულობას, მოქმედი საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებას; მიიღებს ზომებს საწარმოო სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლავრეთა, ნედლეულისა და მასალების შიგასამეურნეო რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მიმოქცევის ხარჯების დონისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის;

ზ) მისცემს დასკვნებს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სტანდარტების პროექტებზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების პროექტებზე, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან მათ მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციისათვის დამამზადებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა ანგარიშსწორების პირობების პროექტებზე, მარცვლის, ფქვილის, ბურღულის ბრინჯისა და პარკოსანი კულტურების სტანდარტების პროექტებზე და დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს წინადადებებს მარცვლის, მისი გადამუშავების პროდუქტების, ზეთოვანი კულტურებისა და კომბინირებული საკვების საანგარიშსწორებო და საბითუმო ფასების პროექტების გამო;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობას;

ი) უზრუნველყოფს პურის მიმღები, საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების საწარმოების ტექნიკური ბაზის დროულად და მაღალხარისხოვნად მომზადებას ახალი მოსავლის მარცვლის მისაღებად და განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ მოამზადონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ეწევიან ხორცის, რძის, ტექნიკური კულტურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღებას;

კ) მონაწილეობას მიიღებს მარცვლის, ხორცის, რძის, ტექნიკური კულტურების და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღების, შენახვისა და გადამუშავების საწარმოთა განვითარებისა და განლაგების ძირითად მიმართულებათა შემუშავებაში და შეადგენს მარცვლის მიღების, შენახვისა და გადამუშავების საწარმოების განვითარებისა და განლაგების პერსპექტიულ გეგმებს;

ლ) მოაწყობს და განახორციელებს წისქვილების, ბურღულისა და კომბინირებული საკვების ქარხნების და საამქროების, ელევატორების, მარცვალსაწყობების, მარცვალსაშრობების, სიმინდის თესლის დამმუშავებელი და დამხარისხებელი ქარხნების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას, აგრეთვე აწარმოებს დადგენილი წესით მათ მიღებას და საექსპლუატაციოდ გადაცემას;

მ) უზრუნველყოფს სახელმწიფო მარცვლის და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხის დადგენას, გასცემს დოკუმენტებს (მოწ-

მობები, სერტიფიკატები და დასკვნები) ამ პროდუქტების ხარისხის შესახებ, რომლებიც სავალდებულოა ყველა დაწესებულებისა, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

ნ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ სწორად იქნას გამოყენებული საპრემიო ფონდი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების წასახალისებლად სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის;

ო) შეისწავლის სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, აგრეთვე წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილებას სასოფლო სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიღება--გადამუშავების ორგანიზაციის დარგში, განაზოგადებს და გაავრცელებს ამ მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას; შეიმუშავებს მარცვლისა და თესლის მიღება-გადამუშავებისა და ახალი სახის პურის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიას;

პ) განახორციელებს საწარმოთა საქმიანობის საწარმოო-ტექნიკურ ხელმძღვანელობას, მოაწყობს ახალი, მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვას პურის მიმღებ, საფქვავ, ბურღულისა და კომბინირებული საკვების საწარმოებში და მშენებლობაზე; უზრუნველყოფს საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოების და ელევატორების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, აგრეთვე უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვის და სანიტარიის წესების შესრულებას;

ჟ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობის განვითარების საქმეს, ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში ,ჩაატარებს ექსპერტიზას გამოგონებათა სარგებლიანობაზე, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას, დააფინანსებს ამ ღონისძიებებს და მოაწყობს გამოცდილების გაზიარებას გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დარგში;

რ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამინისტროს სისტემის პურის მიმღები და მარცვალგადამმუშავებელი საწარმოების, მშენებლობებისა და სხვა საწარმოების დაცვას და სახანძრო უშიშრობას;

ს) დაგეგმავს და დადგენილი წესით დააფინანსებს დაქვემდებარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობას, კონტროლს გაუწევს მათ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მარცვლის მიღების, შენახვისა და გადამუშავების საწარმოების ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლებას, საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ხარისხოვანი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მათი რენტაბელობის ამაღლებას და სამეურნეო ანგარიშის შემდგომ განმტკიცებას;

ტ) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, განიხილავს და დაამტკიცებს მათ ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს პერიოდულ და წლიურ ნაკრებ ანგარიშებს და ბალანსებს;

უ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ სწორად იყოს შედგენილი წარსადგენი საანგარიშო მონაცემები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულების შესახებ და არ იქნას დაშვებული წამატებანი სახელმწიფო ანგარიშგებაში;

ფ) მოაწყობს დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და მშენებლობების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

ქ) მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შენახვის, აგრეთვე მარცვლის გადამუშავების ხაზით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების დებულებათა შემუშავებაში და განახორციელებს კონტროლს შრომის ანაზღაურების დადგენილი წესით დამტკიცებული პირობების სწორად შეფარდებისადმი;

ღ) განახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელ ინჟინერ ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მათი სწორად გამოყენებისათვის;

ყ) მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკური ორგანიზაციებისათვის ისეთ დავალებათა შემუშავებაში, რომლებიც შეეხება მათ მიერ ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადარიცხვას საერთო-საკავშირო ფონდში.

4. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრო მასზე დაკისრებულ ფუნქციებს განახორციელებს ადგილებზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მისდამი დაქვემდებარებული სამმართველოების, შესყიდვის რაიონული და სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციების და სხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადებათა სამინისტროს ბრძანებები და ინსტრუქციები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, რომლებიც გამოიცემა მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტების ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათი შესრულების მიზნით, სავალდებულოა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, ცეკავშირისა და სხვა უწყებების საწარმოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას, მიღებას და გამოყენებას.

5. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს უფლება ენიჭება:

მოისმინოს კოლეგიის სხდომებზე იმ ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას და მიღებას, იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება კონტრაქტაციის ხელშეკრულებებით დაწესებულ ვადებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, თუ რამდენად მომზადებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის მიღებისა, შენახვისა და გადამუშავებისათვის და სხვა საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს კომპეტენციაში შედის; მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან (დაწესებული ანგარიშგების მაჩვენებლების ფარგლებში) და იმ ორგანოებისაგან, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას განაგებენ, ცნობები და მასალები, რაც სამინისტროს სჭირდება მასზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

დადგენილი წესით მოიწვიოს თათბირები იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის.

6. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ დამზადებეთა მინისტრის წარდგენით.

7. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია უზ-

რუნველყონ შესრულება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის, მარცვლის მიღების, მოვლა-შენახვისა და გადამუშავების, კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების, საერთო საკავშირო ფონდში ხორცის, რძის, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადარიცხვის დავალებათა შესრულების საკითხებზე, აგრეთვე სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს კომპეტენციაში შედის.

კოლეგიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში გატარდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის წევრებს კი, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრი;

ხელმძღვანელობს სამინისტროს მუშაობას, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეამოწმებს მათს შესრულებას;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართავს წარდგინებით, რომ გაუქმდეს ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ის გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის საკითხებზე, რომლებიც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან;

შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოების, ინსპექციებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წესდებებს ან დებულებებს მათ შესახებ.

დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელ მუშაკებს, დაწესებული ნომენკლატურის თანახმად.

9. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროსთან შეიქმნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დამზადებათა სამმართველოების მუშაკებისაგან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის და შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებისაგან.

საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრი თანამდებობის მიხედვით.

საბჭოთა პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დამზადებათა მინისტრის წარდგენით.

10. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროსთან არსებული საბჭო განიხილავს:

ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულებას;

საკითხებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გადიგებისა და ამ პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე გამოცდილების განზოგადების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვებისა და საწარმოო შესაძლებლობათა გამოვლინების საფუძველზე;

ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესება;

ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის განვითარებას და დანერგვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხის გამორკვევისა, მარცვლის შენახვისა და გადამუშავებისათვის;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღება გადამუშავების ქსელის განვითარებისა და განლაგების საკითხებს.

საბჭოს რეკომენდაციები დამზადებათა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ცხოვრებაში ტარდება საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრის ბრძანებებით.

11. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

114 მოსახლეობის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ

სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 5 ნოემბრის № 987 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) მოაწყოს 1962-1965 წლებში ქალაქ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისსა და რუსთავში რადიოკავშირი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებსა და სანიტარულ ავტომობილებს შორის, დანართის თანახმად;

ბ) მოაწყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურების პირდაპირი ავტომატური სატელეფონო კავშირი სამკურნალო დაწესებულებებთან ავტომატური სატელეფონო ქსელის მშენებლობის წინასწარ შედგენილი და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით შემდეგ ქალაქებში: თბილისში—200 ნომრით, სოხუმში, ბათუმსა და რუსთავში — 20 ნომრით თვითეულში და ქუთაისში — 40 ნომრით;

გ) განახორციელოს 1962 წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებული პერსონალის რაოდენობისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში შემდეგი ღონისძიებანი:

ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში სასწრაფო დახმარების სადგურებთან იყოლიოს სასწრაფო დახმარების თითო სპეციალიზებული მანქანა სათანადო სამედიცინო პერსონალით, რომელიც გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას გაუწევს გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის მწვავე უკმარობით დაავადებულ პირებს.

გამოყოს ქ. თბილისის სასწრაფო დახმარების სადგურში 5 სანიტარული მანქანა მშობიარეთა გადასაყვანად და სასწრაფო დახმარების ერთი სპეციალიზებული მანქანა მოსახლეობისათვის სტომატოლოგიური დახმარების გასაწევად ღამით.

გახსნას ქ. თბილისის ბავშვთა ყველა პოლიკლინიკაში, აგრეთვე ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ღამის პუნქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფორმაცია, რომ ქ. თბილისში 1961 წლის დამლევამდე მოეწყობა რადიოკავშირი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებსა და 32 სანიტარულ ავტომობილს შორის იმ 36 ავტომობილიდან, რომლებიც გათვალისწინებულია 1962-1965 წლებისათვის ამ დადგენილების 1 მუხლით.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 მარტის № 252 დადგენილების (განაყოფი II მუხ. 1 „გ") შესაბამისად, გაუდიდდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების ავტომობილებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა 10 პროცენტით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან სახელშეკრულებო საფუძველზე შეასრულოს ავტომატური სატელეფონო სადგურების მონტაჟის სამუშაოები სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურების პირდაპირი კავშირისა სამკურნალო დაწესებულებებთან ქალაქ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავსა და ქუთაისში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს წლიური გეგმებით, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გამოეყოს რადიოკავშირის სამუალებანი მისი განაცხადებით, 1 მუხლის თანახმად, და გაუდიდდეს თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმა ამ დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად.

6. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1962-1965 წლების განმავლობაში უზრუნველყოს სათანადო სადგომებით სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების საქალაქო სადგურის რაიონული ფილიალები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 26 დეკემბერი, №762.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 26 დეკემბრის № 762
დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებსა და სანიტარულ ავტომობილებს შორის რადიოკავშირის მოწყობისა 1962-1965 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში

(ცალობით)

	ავტომობილების რაოდენობა სულ	მათ შორის			
		1962	1963	1964	1965
საქართველოს სსრ	75	20	40	8	7
მათ შორის:					
ქ. თბილისი	36	20	16	—	—
ქ. სოხუმი	8	—	8	—	—
ქ. ბათუმი	8	—	8	—	—
ქ. ცხინვალი	7	—	—	—	7
ქ. ქუთაისი	8	—	—	8	—
ქ. რუსთავი	8	—	8	—	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

115 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 8 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 დეკემბრის № 965 დადგენილებით, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათს შესრულებას.

მინისტრი დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს, შექმნის და გააუქმებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, დამხმარე წარმოებითს საწარმოებს, საამქროებს, აგრეთვე ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიებს, სამეურნეო ანგარიშის სახელოსნოებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქროებსა და პუნქტებს, რომლებიც შეესაბამებიან სავაჭრო საქმიანობის ხასიათს, და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათ დაქვემდებარებას; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების დებულებებს (წესდებებს); დაამტკიცებს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს; გააუქმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეაჩერებს ასს რესპუბლიკების ვაჭრობის მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

საკითხს ასს რესპუბლიკების ვაჭრობის მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი შეიტანს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 26 დეკემბერი, № 767.

116 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 ნოემბრის № 981 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ**

„სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივნისის № 536 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 ნოემბრის № 981 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ამოღებულ იქნას მე-4 მუხლის „ა" ქვეპუნქტის მე-3 აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულებიდან, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 აგვისტოს № 545 დადგენილებით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხ. 6 საქართველოს სსრ სასალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 11 აპრილის № 417 დადგენილებისა „უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათვის ფიზიკის მასწავლებელთა მომზადების ღონისძიებათა შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 ნოემბრის № 981 დადგენილებით გაუქმებულია მუხ. 14 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 აპრილის № 456 დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 26 დეკემბერი, № 768.

117 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილების მე-6 მუხლის ბ და გ ქვეპუნქტებისა და მე-7 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მიცემული გეგმის საფუძველზე 1961-1962 სასწავლო წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყოს ზოგადსაგანმანათლებლო საგნების იმ მასწავლებელთა მომზადება, რომელთაც შეეძლებათ საშუალო სკოლებში რიგი საგნების უცხო ენებზე სწავლება.

2. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში დამატებით შემოღებულ იქნას უცხო ენისა და მუსიკის მასწავლებლის სპეციალობა, სახალხო მეურნეობის გეგმით 1961-1962 სასწავლო წლისათვის გათვალისწინებულ მისაღები კონტიგენტის ფარგლებში.

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ გა-

დიდდეს სწავლების ვადა ექვს წლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტების სპეციალურ ჯგუფებში, რომლებიც მასწავლებლებს მოამზადებენ იმ სკოლებისათვის, სადაც შემოღებულ იქნება რიგი საგნების უცხო ენებზე სწავლება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 მაისის № 468 დადგენილების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 27 დეკემბერი, № 774.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წიგნური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 195